

# ახალი ბანათლები

22 - 28 ივნისი 2017

ფასი 1 ლარი 70 თეთრი

№23 (777) გაიჭრა 1998 წლიდან

www.axaliganatleba.ge

**საერთაშორისო კვლევა**

## საქართველოს სასკოლო ბანათლების სისტემის რეფორმირების აუსილავლოზის შესახებ

4  
გვერდი

მოსწავლეთა ნიგნიეების და მათემატიკის საფუძვლების ცოდნის დონის ამაღლება - ეს მიზანია ამ ეტაპზე სასწავლოდ მისაღწევი. მსოფლიოს უკლებლივ ყველა ქვეყანაში, სადაც ჩვენი დანიშნული და ნაშრომებით განხილულია, ის იყო დასახელებული სწავლის ხომალტი გადაუდებელი, ხომალტი პირობა, რომ თანამედროვე მოსწავლეს უნდა შეეძლოს ეფექტური სასწავლო უნარების გახეხვა შესაძლებელია.

\*\*\*

ჩინოვებულ მდგომარეობაში მყოფი განათლების სისტემაში, მათთვის საშუალო ხომალტებს, სკოლების ადამიანურ რესურსებს და პედაგოგებს მკაცრად განსაზღვრული, კარგად ახტეხილი და ხელისუფლებით მოქმედების გეგმა მიუძღვნება. უკლებლივ ყველა ქვეყნის (დღი უნდა) სასწავლო სისტემაში, რომელმაც ნაშრომებს მიღწევა, ეს მიდგომა გამოიყენა საკუთარი სასწავლო სისტემის ხელახალი დასაწყისი საწყის ეტაპზე. ჩვენ უნდა ვხომალტდეთ სისტემა, ჩვენ ნაქმედია პირობების დონეში მის ყველა დონეზე, მით მეტი უნდა იყოს ცენტრალური ხელისუფლების შუალედური დონეები.

ნათელა სახოჩია

**პარტნიორი სკოლები**

## გაკვეთილის ხარისხი - გერმანიის სკოლების უმთავრესი პრიორიტეტი

6  
გვერდი

სკოლის დირექტორის მთავარი მოვალეობაა სკოლაში თანამედროვე, მაღალი ხარისხის გაკვეთილი გახდეს, ეს არის მისი ძირითადი დანიშნულება და ვალდებულება. ამიტომ, პირველი ხომალტი, დირექტორი პასუხისმგებელია, რომ სკოლაში ამას მიღწევა.

\*\*\*

ჩვენთან დირექტორი ვეი გახდება, თუ მასწავლებლების მხარდგონივი გამოცდილება არ გაქვს. ეს იმიტომ არის აუცილებელი პირობა, რომ დირექტორი გაკვეთილის ხარისხს აფასებს და, ხომალტი მეთოდისტი, მასწავლებლის შეფასებას ნახს. თავისთავად, თუ არ არის ჩვენს გაკვეთილზე, ამას ვეი გააჩეთებს, ვეი ბავშვებთან დაკავშირებულ მნიშვნელოვან გადაწყვეტილებებს მიიღებს სწავლა.

\*\*\*

ვისაც უნდა, რომ მასწავლებელი გახდეს, მან სკოლაში აუცილებლად მაღალი შედეგები უნდა აჩვენოს, დაბალკლასიანი სკოლადაქცევილი მასწავლებლის პირობებზე ვეი ჩაბახებს. ჩვენთან შეფასების სისტემა 1-დან 6-მდეა, 1 ყველაზე მაღალი შეფასებაა. ჩემი შვილი აბახებდა მასწავლებლის პირობებზე და მას 2,5 მაინც უნდა ჰქონოდა შეფასება, რომ მოხვედრილიყო, ამაზე დაბალი შეფასებით უნივერსიტეტი არ მიიღებდა.

\*\*\*

იმ შემთხვევაში, თუ ბევრი კადრი და საკმაოდ ადგილი არ არის სკოლაში, მათი აყვანა ქვეყნის მიხედვით ხდება. ვაკანტური ადგილების მიხედვით, ვიჩვენებთ საკუთარ სკოლებს, მაგალითად, თუ არის 500 ადგილი, ვიჩვენებთ მსუხვედებიდან 500 მაღალკლასიან მასწავლებლებს. აქედან გამომდინარე, ჩვენს სკოლებში მხოლოდ საკუთარ სკოლებს ხვდებიან.

პახტუბა მანიჩი

**პროფესიული განვითარება**

## გარე დაკვირვების ნების უფროსი მასწავლებლების დანიშნულებისთვის



2  
გვერდი

**ქართული სტუდენტები უსწოთუნი**

## სა თბილისის თავზე



8  
გვერდი

2017 წლის საბნის გამოსდის  
წარმატებით ჩაბარებისთვის  
ტესტირებაში  
დასაბროვებელი  
აუსილავალი ქულაბი



7  
გვერდი



პროფესიული განვითარება

# ბარე დაკვირვების წესი უფროსი მასწავლებლების დანიშნულებისთვის



ანსაზღვრული პროფესიული განვითარების პროექტი

**განათლებისა და მეცნიერების მინისტრმა, ალექსანდრა ჯაფარიძემ დაამტკიცა ბარე დაკვირვების წესი, რომელიც უფროსი მასწავლებლის მიერ გაკვეთილის წარმართვის შემოწმების მიზნით, ბარე დაკვირვებასთან დაკავშირებულ პროცესებს აწესრიგებს. მისი გავლა მოუხვევს უფროსი კატეგორიის მასწავლებელს, რომელიც გადაწყვეტს, გახდეს წამყვანი მასწავლებელი. მისი გავლა მოუხვევს უფროსი კატეგორიის მასწავლებელს, რომელიც გადაწყვეტს, გახდეს წამყვანი მასწავლებელი. ბარე დაკვირვების წარმატებით გავლის შემთხვევაში, მასწავლებელი 4 კრედიტულს მიიღებს. დაამტკიცებული წესის თანახმად, ვის აქვს ბარე დაკვირვების გავლის უფლება, რა პროცედურები უნდა გაიაროს მასწავლებელმა ბარე დაკვირვებისთვის და ვინ შეაფასებს გაკვეთილებს – ამის შესახებ გვესაუბრება მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრის დირექტორის მოადგილე მანანა რატიანი**



**– ვის აქვს ბარე დაკვირვების გავლის უფლება?**  
– ბარე დაკვირვების გავლა მოუხვევს მხოლოდ უფროს მასწავლებელს, რომელიც არ არის ორიენტირებული მხოლოდ სტატუსის შენარჩუნებაზე, არამედ გადაწყვეტს, გახდეს წამყვანი მასწავლებელი. ასეთი მასწავლებლების რაოდენობა ჯერჯერობით არ ვიცით, რადგან პირველად ტარდება და შესაბამისად, რეგისტრაცია ბარე დაკვირვებაზე აქამდე არ მოცხადებულა. თუმცა, მათი რიცხვი, დაახლოებით, იმ აქტივობებიდან შეიძლება განვსაზღვროთ, რომლებსაც უფროსი მასწავლებლის სტატუსის მქონე პედაგოგები გადაიან. უფროსი მასწავლებლის რაოდენობის ცოდნა, ამ შემთხვევაში, ვერაფერს მოგვცემს, რადგან ამ კატეგორიაში ორი ქვეკატეგორიაა, რომელთაც ბარე დაკვირვების შესაძლებლობა მიეცემა. ბარე დაკვირვების გავლის უფლება აქვს უფროსი მასწავლებელს, რომელსაც სურს წამყვანი მასწავლებლის სტატუსის მოპოვება და აკმაყოფილებს ერთ-ერთ მოთხოვნას: უფროსი მასწავლებლის სტატუსი მინიჭებული აქვს დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მოპოვების შედეგად, განათლების მინისტრის განკარგულებაში ან იმ დარგში/სპეციალობაში, რომლის შესაბამის საგანსაც ასწავლის. ამ ქვეკატეგორიის უფროსი მასწავლებლისთვის ერთ-ერთი სავალდებულო აქტივობა ბარე დაკვირვებაა იმისთვის, რომ დანიშნულდეს.

მეორე კატეგორიის უფროსი მასწავლებელს, წამყვანი მასწავლებლის სტატუსის მოსაპოვებლად საჭირო კრედიტულებიდან, მოპოვებული უნდა ჰქონდეს, არანაკლებ, 13 კრედიტულია. ბარე დაკვირვების წესში ჩადებული პირობის თანახმად, 13 კრედიტი დარეგისტრირებამდე უნდა დააგროვოს, წინააღმდეგ შემთხვევაში, ისინი ვერ დარეგისტრირდებიან და, შესაბამისად, ვერც ბარე დაკვირვებას გაივლიან. როგორც იცით, მასწავლებლებს, კრედიტულების დასაგროვებლად, დამატებითი და ძირითადი/სავალდებულო აქტივობების შესრულება უნდა, შესაბამისად, აღნიშნული 13 კრედიტი პედაგოგმა ორივე მიმართულებით უნდა მიიღოს და არა მხოლოდ დამატებითი აქტივობებით, რაც იმას ნიშნავს, რომ წამყვანი მასწავლებლების სტატუსის მოსაპოვებლად განკუთვნილ 19 კრედიტულს უნდა აკლდეს ბარე დაკვირვების 4 კრედიტულია და 2 კრედიტი, რომელიც სულერთია რომელი აქტივობებით შეიგება – სავალდებულო თუ დამატებითი. თუკი 13 კრედიტიდან არც ერთი არ იქნება სავალდებულო აქტივობიდან მიღებული, პედაგოგს ჩატარებული უნდა ჰქონდეს სამოძღვრო გაკვეთილი და კვლევა.

ლას აიღებს, ბარე დაკვირვება გავლილად ჩაეთვლება. პროცესი 4 ეტაპისგან შედგება: წინასწარგაკვეთილი შეხვედრა; გაკვეთილზე დაკვირვება; გაკვეთილის შემდგომი შეხვედრა; გაკვეთილის შეფასება. დაკვირვება, მასწავლებლის მიერ შეთავაზებული 5 გაკვეთილიდან, ერთ-ერთ გაკვეთილზე ტარდება.

ბარე დაკვირვებელთა ჯგუფის თითოეული წევრი, გაკვეთილის შეფასების რუბრიკის გამოყენებით, დამოუკიდებლად აფასებს მასწავლებლის მიერ ჩატარებულ გაკვეთილს. შეფასების მაქსიმალური ქულაა 32, გაკვეთილი დადებითად შეფასებულად ჩაითვლება, თუ პედაგოგი დააგროვებს ბარე დაკვირვებელთა ჯგუფის ორივე წევრის მიერ შეფასებული ქულების საშუალო არითმეტიკულის 75%-ს, არანაკლებ 24 ქულას. სპორტის საგნობრივ ჯგუფში შემავალ საგნებში კი, გაკვეთილების შეფასების მაქსიმალური ქულაა 28. გაკვეთილი დადებითად შეფასებულად ჩაითვლება, თუ მასწავლებელი დააგროვებს, არანაკლებ, 21 ქულას. უარყოფითი შეფასების შემთხვევაში, პედაგოგს ხელახალი ბარე დაკვირვების უფლება მომდევნო სასწავლო წელს მიეცემა.

პირველი ეტაპი რეგისტრაციის გავლის წინაპირობაა და ჩვენ იმ მასწავლებლებს მოვამზადებთ, სადაც დარეგისტრირებას შეძლებენ, ზაფხულს მთლიანად ტექნიკურად საჭირო მოსამზადებელი სამუშაოებისთვის გამოიყენებთ. ამის შემდეგ მასწავლებლებმა უნდა წარმოადგინოს ხუთი თანმიმდევრული გაკვეთილის გეგმა. მაგალითად, ქართულის მასწავლებლის ხუთი გაკვეთილი შეიძლება იყოს ერთი კვირის გეგმა ერთ შერჩეულ კლასთან; გეოგრაფიის მასწავლებლის შემთხვევაში, 5 გაკვეთილი შეიძლება იყოს ორკვირანახევრის გეგმა – ხუთი თანმიმდევრული გაკვეთილი.

**– ვინ იქნებიან ბარე დაკვირვებლები და რა მექანიზმები არსებობს ობიექტურობის დასაცავად?**  
– ბარე დაკვირვებელთა ჯგუფი ორი წევრისგან შედგება – ერთ-ერთი წევრი იმ საგნის/საგნობრივი ჯგუფის ფასილიტატორია, რომელიც საგნის გაკვეთილზეც ჩატარდება ბარე დაკვირვება. მას მასწავლებლის სახლი შეარჩევს ახლომდებარე რეგიონში მდებარე სკოლიდან. მეორე წევრი შესაფასებელი გაკვეთილის საგნის/საგნობრივი ჯგუფის შესაბამისი აკადემიური ხარისხის მქონე პირი უნდა იყოს და აკმაყოფილებდეს ერთ-ერთ შემდეგ მოთხოვნას: უნდა ჰქონდეს შესაფასებელი გაკვეთილის საგნის მიმართულებით მასწავლებლად მუშაობის, არანაკლებ, სამწლიანი გამოცდილება; პროფესიულ ან/და უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში სასწავლო პროცესის წარმართვის გამოცდილება შესაბამისი საგნის მიმართულებით; წამყვანი მასწავლებლის/მენტორის სტატუსი და შესაფასებელი გაკვეთილის შესაბამისი საგნის სწავლების გამოცდილება; წარმატებით უნდა ჰქონდეს გავლილი ბარე დაკვირვება.

**– როდის გამოცხადდება ბარე დაკვირვებისთვის რეგისტრაცია და რა პროცედურების გავლა მოუხვევს მასწავლებლებს?**  
– ბარე დაკვირვებისთვის რეგისტრაცია მომდევნო სასწავლო წლიდან, სექტემბერში, გამოცხადდება და 2017-2018 სასწავლო წლის პირველი სემესტრისთვის საპილოტე რეჟიმში იწარმოებს. ბარე დაკვირვებისთვის რეგისტრაცია სასწავლო წლის განმავლობაში ორჯერ ცხადდება. რეგისტრაცია ელექტრონულად წარმოებს, განაცხადში, რომელსაც მასწავლებელი ავსებს, მითითებული უნდა იყოს: საგანი, რომელსაც ასწავლის და არომელშიც სურს ბარე დაკვირვების გავლა; კლასი, რომელშიც გეგმავს ბარე დაკვირვებისთვის საგაკვეთილო პროცესის წარმართვას; საგნის შესაბამისი საათობრივი დატვირთვა კვირის განმავლობაში.

ბარე დაკვირვება ერთჯერადი პროცესია და მოიაზრებს ერთ საგაკვეთილო პროცესზე დაკვირვებას, თუმცა ის რამდენიმე ეტაპისგან შედგება და ამაზეც ვისაუბრებთ. თუ მასწავლებელი წარმატებით გაივლის ბარე დაკვირვებას – რუბრიკისთვის განკუთვნილი მაქსიმალური 32 ქულიდან 24 ქუ-

**– რატომ შეჩერდა არჩევანი ხუთი გაკვეთილის გეგმაზე?**  
– იმიტომ, რომ ჩვენ გვინდა ვნახოთ, როგორ ვითარდება დინამიკაში ბავშვი და საგაკვეთილო პროცესი, როგორ ვითარდება უნარები და როგორ მუშაობს მასწავლებელი. იმ ხუთი გაკვეთილიდან (მასწავლებელი თავად გადაწყვეტს, რომელი ატვირთოს) დამკვირვებელი ერთს აირჩევს დასასწავლად. პირველ რიგში, ჩვენ გვგამა უნდა დაგვანახოს სასწავლო პროცესის განვითარებისა და მოსწავლეებთან მუშაობის მასწავლებლის ხედვა. ბუნებრივია, დაბალი სტატუსის მასწავლებლებზე არ ვსაუბრობთ, არამედ მასწავლებლებზე, რომელიც აპირებს, გახდეს წამყვანი, აქედან გამომდინარე, მის მიმართ მოთხოვნაც მაღალია. რაც მთავარია, ეს არ იქნება დამკვირვებლის მოულოდნელი შესვლა გაკვეთილზე, პედაგოგს წინასწარ ეცოდინება, როდის და რომელ გაკვეთილზე დაესწრება. თუმცა, მაინც ისმის კრიტიკა, რომ წინასწარ ხუთი გაკვეთილის თანმიმდევრული გეგმის მოთხოვნა არასწორია. ვფიქრობ, ეს კრიტიკა უსამართლოა, რადგან მასწავლებელს, რასაკვირველია, უნდა ჰქონდეს წინასწარი ხედვა, თუმცა, კლასის საჭიროებიდან გამომდინარე, შესაძლებელია, შესწორებაც შეიტანოს, მაგალითად, იმ შემთხვევაში, თუ მოსწავლეებმა წინა გაკვეთილზე სრულად ვერ აითვისეს მასალა და ა.შ. შესაბამისად, დაკვირვებამდე, მასწავლებლებთან შეხვედრებიც გვაქვს გათვალისწინებული. სწორედ ამ შეხვედრაზე გვეტყვიან, რა ცვლილებები შეიტანეს სასწავლო გეგმაში წინა გაკვეთილიდან გამომდინარე, თუკი ასეთი ცვლილებების საჭიროება იქნება. მაგრამ ეს ცვლილება, აუცილებლად, არგუმენტირებული უნდა იყოს და ამ შემთხვევაში, მასწავლებელს ხარვეზად არ ჩაეთვლება. გაკვეთილი – სწავლა-სწავლება – დინამიკური პროცესია და, შესაბამისად, ჩვენც გვესმის, რომ რომელიმე თემა შეიძლება კლასიკურად თანმიმდევრობით არ წავიდეს, როგორც ეს თეატრში სცენაზე ხდება.

**– რამდენჯერ შეუძლია მასწავლებელს ბარე დაკვირვების გავლა და საპილოტე რეჟიმში იქნება თუ არა შეზღუდული მსურველთა რაოდენობა?**  
– სასწავლო წლის განმავლობაში, ბარე დაკვირვება მასწავლებლის შეუძლია ერთხელ გაიაროს, თუ ვერ გაიარა, მაშინ შეუძლია მომდევნო სასწავლო წელს დარეგისტრირდეს და კიდევ სცადოს. პირველ ჯერზე, რეგისტრაცია უფასოა, ხოლო ყოველ შემდეგ დარეგისტრირებაზე 50 ლარს გადაიხდის.

ჩვენ გვყავს 17 ათასზე მეტი უფროსი მასწავლებელი, მონაცემები წელს კიდევ შეიცვლება, რამდენს ექნება 13 კრედიტი, პოტენციურად, ჯერ არ ვიცით, რადგან შეფასების პროცესი არ დასრულებულა. მას შემდეგ, რაც მასწავლებლები სრულად ატვირთავენ, 25 ივნისამდე, თავიანთ მასალებს და, ერთი თვის განმავლობაში, შეფასების ჯგუფები შეაფასებენ, ჩვენ შევიტყობთ, რამდენ მასწავლებელს აქვს შესაძლებლობა, გაიაროს რეგისტრაცია ბარე დაკვირვებაზე. კიდევ ერთი დაზუსტება – წესის ბოლოში წერია, რომ პირველი სემესტრი არის პილოტირების პერიოდი, რაც იმას გულისხმობს, რომ ყველა მასწავლებელს, ვისაც ექნება 13 კრედიტი, შემდეგი სასწავლო წლის განმავლობაში, ბარე დაკვირვების გავლის უფლება ექნება, თუმცა, პირველ სემესტრში მათი რაოდენობა შეზღუდული იქნება სწორედ პილოტირების რეჟიმიდან გამომდინარე. პროცესს სრული ანალიზი უნდა გავუკეთოთ და ამიტომაცაა საჭირო საპილოტე რეჟიმი, ამის შემდეგ კი შევძლებთ სრული მასშტაბით ვანარმოთ ბარე დაკვირვება.

**– შესაძლებელია თუ არა ბარე დაკვირვების შედეგების აპელაცია?**  
– ბარე დაკვირვების შედეგის ელექტრონულ სისტემაში განთავსებიდან ერთი თვის განმავლობაში, მასწავლებელს შეუძლია მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნულ ცენტრში გაასაჩივროს უარყოფითი შეფასება. აპელაციას საპრეტენზიო კომისია განიხილავს, მიღებულ გადაწყვეტილებას აწვდის მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნულ ცენტრს, რომელიც ვალდებულია, შესაბამისი ცვლილება შეიტანოს ელექტრონულ სისტემაში.

ესაუბრა  
ლალი ჯაფარიძე

ინფორმაცია

# საქართველო საერთაშორისო საბანანათლებლო ცენტრი გახდება

ქუთაისში კავკასიის რეგიონში უდიდესი, თანამედროვე ინფრასტრუქტურითა და უახლესი ლაბორატორიებით აღჭურვილი საერთაშორისო საბანანათლებლო ცენტრის შექმნის პროგრამის განხორციელებაში, როგორც ქუთაისის საერთაშორისო კომპლექსის, ასევე სხვა პროექტების მხარდაჭერის მიზნით, აქტიური მონაწილეობას მიიღებს საერთაშორისო საბანანათლებლო ფონდი „ქართუ“. შესაბამის მემორანდუმს მოაწერეს ხელი საქართველოს ვიცე-პრემიერმა, განათლებისა და მეცნიერების მინისტრმა ალექსანდრე ჯეჯელავამ და საერთაშორისო საბანანათლებლო ფონდის „ქართუს“ დირექტორმა ნიკოლოზ ჩხეტიანიმ.

განათლების სისტემის პროორიტიულ ამოცანას უმაღლესი განათლების ხარისხის ამაღლება, შრომის ბაზრის მოთხოვნების შესაბამისი უმაღლესი განათლების შეთავაზება, უმაღლესი განათლების სფეროს ინტერნაციონალიზაციის ხელშეწყობა, ასევე, მთელი სიცოცხლის მანძილზე უწყვეტი განათლების სისტემის ხელშეწყობა წარმოადგენს. მეცნიერების განვითარების მიმართულებით, არანაკლებ მნიშვნელოვანია კვლევითი პროდუქციის კომერციალიზაცია და ინოვაციების განვითარება, კვლევით საქმიანობაში საერთაშორისო თანამშრომლობის გაძლიერება, მეცნიერების პოპულარიზაცია საქართველოში და ახალგაზრდების ჩართულობის ხელშეწყობა. შესაბამისად, ქუთაისის საერთაშორისო კომპლექსი აღნიშნული მიზნებისა და ამოცანების მიღწევისა და განხორციელების საუკეთესო საშუალება გახდება.

მიუნხენის საერთაშორისო ტექნიკური უნივერსიტეტის (TUM International) სპეციალისტები, ქართულ მხარესთან ერთად, შეიმუშავენ ქუთაისის საერთაშორისო კომპლექსის განვითარების გეგმას, აკადემიურ და კვლევით პროგრამებს. შესაბამის დოკუმენტს ხელი მოაწერეს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილემ თეიმურაზ მურულუამ და მიუნხენის საერთაშორისო ტექნიკური უნივერსიტეტის მმართველმა დირექტორმა დანიელ გოტშალდმა. შეთანხმების თანახმად, ქუთაისის უნივერსიტეტის სასწავ-

ლო და კვლევითი პროგრამების შემუშავებისას, ასევე მართვის, სამეცნიერო თუ ადმინისტრაციული პერსონალის შერჩევის პროცესში, გამოყენებული იქნება TUM International-ის ხარისხის მართვის სტანდარტები. ერთობლივი საორგანიზაციო ჯგუფი ქუთაისის უნივერსიტეტის განვითარების ყველა ეტაპზე ითანამშრომლებს, მათ შორის გერმანული სპეციალისტები ქართველ არქიტექტორებს უნივერსიტეტის ინფრასტრუქტურის საპროექტო საშუალებების პროცესშიც გაუწევენ კონსულტაციებს.

ხელშეკრულების თანახმად, ასევე, გათვალისწინებულია ქუთაისის უნივერსიტეტის შემადგენლობაში ინოვაციების ცენტრის, კლასტერების ჰაბის და გამოყენებითი კვლევების ცენტრის ჩამოყალიბება და პოტენციური ბიზნესპარტნიორების მოძიება. ერთობლივად შემუშავდება კონცეფცია ცოდნის გადაცემისა და ინოვაციების ცენტრების განვითარების მიზნით, რაც ქუთაისის უნივერსიტეტს ხელს შეუწყობს, გახდეს ცოდნისა და ინოვაციების ცენტრი რეგიონში.

მიუნხენის ტექნიკურ უნივერსიტეტს (TUM), რომელიც მე-19 საუკუნეში დაფუძნდა, 12 ფაკულტეტი აქვს, მათ შორის: საინჟინრო, საბუნებისმეტყველო და სოციალური მეცნიერებების, სოფლის მეურნეობის, კვების ტექნოლოგიის და სამედიცინო. უნივერსიტეტი განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სფეროს. ყოველწლიურად, 1000-ზე მეტი ხელშეკრულება ფორმდება ნაშრომ ტექნოლოგიურ კომპანიებთან. უნივერსიტეტის სტუდენტებმა 800-ზე მეტი „სტარტაპ კომპანია“ დააფუძნეს. მიუნხენის ტექნიკურ უნივერსიტეტს 40 000 სტუდენტი და 10 000 თანამშრომელი ჰყავს. უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლებს 13 ნობელის პრემია აქვთ მიღებული ფიზიკაში, ქიმიასა და მედიცინაში.

**ალექსანდრე ჯეჯელავა:** „დღეს, შეიძლება ითქვას, რომ ისტორიული დღეა – დასრულდა ქუთაისის ტექნოლოგიური უნივერსიტეტის პროექტის, ჩვენი უმაღლესი განათლების რეფორმის ძალიან მნიშვნელოვანი კომპონენტის, მოსამზადებელი პერიოდი. მიუნხენის ტექნოლოგიური უნივერსიტეტი, რომელიც

გერმანიაში არის №1, მსოფლიოში კი – №8, დასაქმების თვალსაზრისით, შემოვიდა, როგორც პარტნიორი, ქუთაისის უნივერსიტეტის პროექტში. ეს არის პარტნიორი, რომელიც მონაწილეობას მიიღებს, სხვა ამერიკელ და ევროპელ პარტნიორებთან ერთად, ქუთაისის უნივერსიტეტის სასწავლო პროგრამების ჩამოყალიბებაში, კამპუსის განვითარებასა და მშენებლობაში, პროფესორის გუნდის ფორმირებაში, პროგრამების ჩამოყალიბებაში და, რაც მთავარია, მნიშვნელოვან როლს შეასრულებს დასაქმებასთან, ინდუსტრიასთან კავშირის თვალსაზრისით.

ჩვენი მთავარი მიზანია, რა თქმა უნდა, რომ ქუთაისის ტექნოლოგიური უნივერსიტეტი განათლებამიღებულ ქართველ ახალგაზრდებს ძალიან მარტივად მიუწვდეთ ხელი დასაქმებაზე და შრომის ბაზარზე. ამ მიმართულებით, მიუნხენის ტექნოლოგიური უნივერსიტეტი ერთ-ერთი ლიდერია ევროპაში და მისასაღებელია, ასეთი მონივნავ პარტნიორი რომ გვეყოლება.

დღეს ხელი მოეწერა პარტნიორობას თვითონ საერთაშორისო კომპლექსსა და მიუნხენის ტექნოლოგიური უნივერსიტეტს შორის, ასევე პარტნიორობას განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსა და ფონდ „ქართუს“ შორის.“

**ნიკოლოზ ჩხეტიანი,** საერთაშორისო საბანანათლებლო ფონდის „ქართუს“ დირექტორი: „ვფიქრობ, საცხებო ნათელია, რომ დღეს ძალიან მნიშვნელოვანი მოვლენის მომსწრენი ვაგხდით, ძალიან მნიშვნელოვან შეთანხმებას მოეწერა ხელი და ჩვენი ქვეყანა გადადის ახალ ეტაპზე – ამ პროექტის განხორციელების შედეგად, საქართველოში შესაძლებელი გახდება თანამედროვე ევროპული და მსოფლიო დონის განათლების მიღება.

ფონდი „ქართუ“, როგორც მოგეხსენებათ, კომპლექსურად ახორციელებს თავის პროგრამებს, კონკრეტულად – განათლების სფეროში. ამჟამად, ვახორციელებთ ორ უპრეცედენტო მასშტაბის პროექტს, ვგულისხმობ თბილისის ტექნოლოგიური ინსტიტუტსა და ქუთაისის უნივერსიტეტს. ჩვენი ფონდის მზაობა იმის საფუძველია, რომ ეს პროექტი განხორციელდება და წარმატებული იქნება.“

## „ბლუმსდელი საქართველოში“

### მაია ყიფიანი

16 ივნისს, საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში, ინგლისურენოვანი ლიტერატურის მოყვარულებისთვის ახალ ტრადიციას ჩაეყარა საფუძველი – ეროვნული ბიბლიოთეკის ანგლო-ამერიკული სამკითხველო დარბაზისა და ქართულ-ირლანდიური ცენტრის ერთობლივი ძალისხმევით, გაიმართა ორი ცნობილი ირლანდიელის – ჯეიმზ ჯოისისა და უილიამ ბათლერ იეტსისადმი მიძღვნილი ლიტერატურული საღამო – „ბლუმსისა და იეტსის დღე თბილისში“.

**მაია სიმონიშვილი,** საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის ანგლო-ამერიკული სამკითხველო დარბაზის კურატორი: „დღეიდან, საქართველო 61-ე ქვეყანაა, რომელიც „ბლუმსდელის“ აღნიშნავს. სასიხარულოა, რომ ეს დღე, ჩვენი ინიციატივით, თბილისშიც აღინიშნება. ეს დაეხმარება მკითხველებს ისეთი რთული ნაწარმოების გაგებასა და პოპულარიზაციაში, როგორც „ულისეა“.

ყოველი წლის 11-16 ივნისს, ირლანდიელი პოეზიისა და ლიტერატურის მოყვარულები დიდ ლიტერატურულ ფესტივალს მასპინძლობენ, რომელიც ორი სახელოვანი ირლანდიელის, პოეტის უილიამ იეტსისა და მწერალ ჯეიმზ ჯოისის შემოქმედებას უკავშირდება.“

13 ივნისი გამოჩენილი მწერლისა და პოეტის, დრამატურგისა და მოაზროვნის, პირველი ირლანდიელი ნობელიანტის, უილიამ ბათლერ იეტსის დაბადების დღეა. იეტსი პირველი ირლანდიელია, რომელიც ნობელის პრემიით დაჯილდოვდა. იგი ირლანდიის დამოუკიდებლობისთვის ბრძოლის ერთ-ერთი მთავარი ფიგურაა.

პირველი წიგნის გამოცემამდე, მომავალმა ნობელიანტმა ირლანდიური ხალხური ზღაპრები შეკრიბა და შესავალი წერილით გამოაქვეყნა 1888 წელს.

„უცხოები შეჭრიან და შინიდან გამოუგდიათ საბრალო დე-

დაბერი, აღარც სახლი დაუნარჩუნებიათ და აღარც კარი, ისიც, უმნო, გზა-შარას მოსდებია, დაღის, დავაგლახოვს, დაენონება, თავშესაფარი ვერ უპოვია, განმეითხავიც არავინ ჰყავს. საბრალო დედაბრის სახეც უილიამ იეტსმა მოიხმო ფოლკლორიდან – სიმბოლო ირლანდიისა, ასე ზატავდა ქვეყნის თანადროულ ყოფას და დედაბრის შემწეობისთვის აქვზებდა“ (ამონარიდი როსტომ ჩხეიძის შესავლიდან წიგნისთვის „უკელტური მიმწეობი“, მედია ზაალიშვილის თარგმანი, 2010, გამომცემლობა „ინტელექტი“).

იეტსი ის იშვიათი ავტორია, რომელმაც მთავარი ნაწარმოებები ნობელის პრემიის მიღების შემდეგ შექმნა. დამოუკიდებელ ირლანდიაში (დამოუკიდებლობის მიღწევაც მისი დამსახურებაა) პირველი სენატორი იყო. 1937 წელს, ირლანდია საპარლამენტო რესპუბლიკად გამოცხადდა.

ლიტერატურული ფესტივალი 11 ივნისს იწყება და 16 ივნისს, „ულისეს“ კითხვით, საზეიმოდ სრულდება. რატომ 16 ივნისს?!

ეს დღე ჯეიმზ ჯოისისა და ინგლისურენოვანი ლიტერატურის მოყვარულებისთვის დიდი დღეა, **BloomsDay**, რომელიც პირველად 1904 წელს აღინიშნა. მოგეხსენებათ, სწორედ ამ დღეს დაიწყო ცნობილი წიგნის პერსონაჟის, ლეოპოლდ ბლუმის მოგზაურობა, ავტორი კი მომავალი მეუღლის გაცნობის დღესაც აღნიშნავდა.

ამ თარიღს, მთელ მსოფლიოში, „ულისეს“ კითხვის საჯარო სეანსებით, მათ შორის, ინტერნეტლექციებითა და ლიტერატურული შეხვედრებით აღნიშნავენ. მწერლები დუბლინსაც სტუმრობენ და ლეოპოლდ ბლუმის მარშრუტს პირადად ეცნობიან. 2004 წელს სუთთივანი ფესტივალიც კი გაიმართა.

„შეგიძლიათ, **BLOOMSDAY 2017** გუგლშიც ნახოთ და რუკაზე გაეცნოთ, რამდენი ღონისძიება ტარდება ამ თემაზე, – ამბობს მაია სიმონიშვილი – დაინტერესებულ მკითხველებს „ულისეს“ ქართული თარგმანის შესახებ ინგლისური ენის სპეციალისტი, ენათმეცნიერი და მთარგმნელი **მაია ყიასაშვილი**



ესაუბრა. როგორც იცით, „ულისეს“ პირველი თარგმანი **ნიკო ყიასაშვილს** ეკუთვნის. ნაწარმოების პირველი ნაწილი ბერს სრული თარგმანი ეგონა, მისი მეორე ნაწილი კი, შემდეგ „მნათობში“ იბეჭდებოდა. ნიკო ყიასაშვილის თარგმანი, მოგვიანებით, მისმა ქალიშვილმა, მაია ყიასაშვილმა შეავსო და მოამზადა. „ულისეს“ სრული გამოცემა ქართველმა მკითხველმა 2002 წელს იხილა (ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა).

ქალბატონმა მაიამ მკითხველებს გააცნო ასეთი რთული ტექსტზე მუშაობის სპეციფიკა, ჯეიმზ ჯოისის მნიშვნელობა ლიტერატურის განვითარების პროცესში, მოდერნისტული ლიტერატურის მახასიათებლები და რამდენიმე რჩევაც მოგვცა, თუ როგორ ვიკითხოთ მსგავსი ნაწარმოებები.“

სალამოს ესწრებოდნენ: მთარგმნელები, მწერლები, სტუდენტები, მკითხველები და მოსწავლეები. უილიამ იეტსის პოეზია რუსთავის მე-11 სკოლის მოსწავლეებმა წარმოგვიდგინეს.

ქართულ-ირლანდიური ცენტრი ირლანდიაში ხანგრძლივად მცხოვრებმა მიგრანტმა, ქალბატონმა **ნანა შალამბერიძემ**, მეგობრებთან ერთად, ახლახან დააარსა. თავის ახალ წიგნში – „მიგრანტები“ იგი ირლანდიაში მცხოვრები ქართველების ცხოვრებაზე მოგვითხრობს.

მომავალი წლის 16 ივნისს ინგლისურენოვანი ლიტერატურის მოყვარულებს სიურპრიზები ელოდება.



საერთაშორისო კვლევა

# საქართველოს სასკოლო განათლების სისტემის რეფორმირების აუსილბლოგის შესახებ

2011 წელს ჩატარდა სასკოლო სისტემის ერთ-ერთი ყველაზე მასშტაბური და გაცხადებული კვლევა, რომელმაც მსოფლიოს 20-ზე მეტი ქვეყნის სასკოლო განათლების რეფორმების შედეგები გააანალიზა და რეკომენდაციებიც შეიმუშავა.

კოალიციის „განათლება ყველასათვის – საქართველო“ ინიციატივით მოწვეულ შერჩეულ სკოლებს კვლევის შედეგები წარუდგინა სტრატეგიულ გამოკვლევათა ცენტრის ხელმძღვანელმა, ნათელა სახოკიამ. ნაშრომი მართლაც მნიშვნელოვანი და საგულწიფოა ჩვენი ქვეყნის განათლების სფეროში მნიშვნელოვანი, მით უფრო, რომ ზოგადად განათლების სფეროში რეფორმების განხორციელების მიზანმიმართულ რეფორმებში, ვერ ჩართულა, ვერ ჩართულა წარმატებულად. მაგალითად, წლების შემდეგ, ჩვენ ისევ სახელმძღვანელოების პრობლემა გვაქვს. თუ იმ ოცი წარმატებული ქვეყნის სასკოლო სისტემაში განათლების რეფორმების შედეგებით ვიხსჯებთ, რომლებიც დღესაც ინარჩუნებენ მდგრადობას, გამოდის, რომ იმ ეტაპზე, როცა რეფორმა დაიწყო საქართველოში, არასწორი იყო არჩევითი სახელმძღვანელოების შეთავაზება ადაპტაციისთვის. პროფესიული თვალსაზრისით, ამ არჩევანისთვის ისინი მზად არ აღმოჩნდნენ; არ განისაზღვრა მოსწავლეთა ადაპტირების მოსწრების სასტატუსო დონე, რომლის გათვალისწინებითაც დაიგეგმებოდა საჭირო ჩარევები სხვა-

დასხვა მიმართულებით და ა.შ. ეს დოკუმენტი ერთგვარი გზამკვლევაა, რომლის გამოყენებაც, კონტაქტის გათვალისწინებით, ძალიან კარგად შეიძლება. მაგალითად, ამ რეფორმის ინიციატივით, რომელსაც მიმართავთ ცუდი სასტატუსო მდგომარეობის მქონე სასკოლებს (მათი რაოდენობა 103-ია), საშუალოდ კარგისკენ – 226 სხვადასხვა ტიპის ჩარევებზე, კარგიდან ძალიან კარგისკენ – 15 და ა.შ.

მთავარაზრატ კვლევის შესახებ ნათელა სახოკიას მოსაზრებას და იმ რეკომენდაციებს, რომლის გათვალისწინებაც, ვფიქრობთ, ხელს შეუწყობს სასკოლო განათლების გაუმჯობესებას. იმედი გვაქვს, ჩვენი მკითხველები დაინტერესდებიან და საკუთარ აზრსაც გახიზნავენ სტატიის ნამოთხილი საკითხების ირგვლივ.



საქართველოს კულტურული, სოციალური, ეკონომიკური განვითარება, მისი უსაფრთხოება, მისი ბუნების და კულტურული მემკვიდრეობის დაცვა, პოლიტიკური და თავდაცვის სისტემების სიძლიერე, პირველ რიგში, დაკავშირებულია განათლების საზოგადოებისა და პროფესიული კადრების არსებობასთან. რადგან სკოლა განათლების სისტემის უმნიშვნელოვანეს და, შეიძლება ითქვას, ძირითად ინსტიტუტს წარმოადგენს, თანამედროვე სახელმწიფო, პირველ რიგში, სწორედ სასკოლო სისტემის მდგრადობაზე იღებს პასუხისმგებლობას.

ბოლო 50 წლის განმავლობაში, მსოფლიოს თითქმის ყველა ქვეყანამ ჩატარა სასკოლო რეფორმა, მაგრამ მათგან ცოტა იყო წარმატებული. ამიტომ 21-ე საუკუნეში წარმატებული სასკოლო რეფორმები გამოჩენილ მეცნიერთა და პრაქტიკოსთა მიერ განსაკუთრებული ყურადღებით, სისტემურად იქნა განხილული და გაანალიზებული. შედეგად მსოფლიოში წარმოიშვა კონკრეტული ცოდნა და გაგებები, რომელიც მანამდე არ არსებობდა. რეფორმების თანმიმდევრული და სისტემური ანალიზის ჩასატარებლად სასარგებლო აღმოჩნდა წარმატებული სასკოლო სისტემების დაყოფა სასტატუსო პირობების მიხედვით: არადაამაკმაყოფილებელი, დამაკმაყოფილებელი, კარგი, ძალიან კარგი და შესანიშნავი. ამ კვლევების ძირითადი აღმოჩენა არის ის, რომ მიუხედავად გეოგრაფიული, კულტურული თუ პოლიტიკური კონტექსტისა, იდენტურ სასტატუსო მდგომარეობაში მყოფი სასკოლო სისტემები რეფორმის ღონისძიებათა იდენტურ ნაკრებს უნდა იყენებდნენ და კატეგორიულად არ შეიძლება განვითარების განსხვავებულ საფეხურზე მდგომი სასკოლო სისტემის მოქმედი მახასიათებლების პირდაპირ გადმოტანა უფრო დაბალ საფეხურზე მდგომი სასკოლო სისტემის რეფორმის განსახორციელებლად<sup>1</sup>. მსოფლიოში სახელმწიფო ექსპერტიზის განათლების სისტემების მართვის საკითხებში მაკლ ფულანი აღნიშნავს: „ამ კვლევების შედეგები ფასდაუდებელია პოლიტიკის მკვლევლებისათვის და სასკოლო სისტემების ლიდერებისათვის, რომლებიც არიან ან უნდა იყვნენ კონკრეტული სისტემების გაუმჯობესების გზების ძიებაში. ის იძლევა მძლავრ ანალიტიკურ საშუალებას. ის ასტიმულირებს შემდგომი მთლიანი სისტემური რეფორმების ტალღას“<sup>2</sup>.

საქართველოს სასკოლო სისტემის გაუმჯობესების ქვემოთ მოყვანილ რეკომენდაციებს სწორედ წარმატებული სასკოლო სისტემების რეფორმების გამოცდილების ბოლო წლებში ჩატარებული ანალიზი და მისი დასკვნები უდევს საფუძვლად.

## საქართველოს სასკოლო სისტემის რეფორმირების სტრატეგიის ძირითადი მიმართულებები

დღეს საქართველოს სასკოლო სისტემა შეიძლება შეფასდეს, როგორც არადაამაკმაყოფილებელი. სახეზეა ასეთი სისტემის დამახასიათებელი ყველა ნიშანი: მოსწავლეთა მოსწრების დაბალი დონე და გაცდენათა დიდი რაოდენობა; სისტემის მასშტაბულობის და სკოლის ადმინისტრაცია არიან ნაკლებ კვალიფიციური და ნაკლებ მოტივირებული; განათლების მართვის ყველა რგოლს, დაწყებული უმაღლესი რგოლიდან, არასაკმარისი პოტენციალი აქვს; სისტემის შიგნით სკოლებს ხარისხი ძალიან განსხვავებულია; რესურსები როგორც ადამიანური, ასევე ფინანსური შეზღუდულია.

1. ამ დასკვნების გათვალისწინებით დღეს შეგვიძლია ვთქვათ, რომ 2000 წელს დაწყებული საქართველოს სასკოლო განათლების სისტემის მასშტაბული რეფორმა მცდარი გზით წარიმართა, რადგან მამინ ორიენტაცია იქნა ალბათ მსოფლიოს ყველაზე წარმატებული სასკოლო სისტემების პრაქტიკის პირდაპირ გადმოტანაზე ჩვენს სასკოლო სისტემაში, საწყისი მძიმე მდგომარეობის გათვალისწინების გარეშე;  
2. How the world's most improved school systems keep getting better. McKinsey & company, 2011;  
3. PISA-ს მიხედვით ქართველი ბავშვების მიღწევები სტატისტიკურად არსებითად ჩამორჩება საერთაშორისო საშუალო მაჩვენებელს.

ყველა ეს მახასიათებელი გააჩნია ჩვენს სასკოლო სისტემას. თუმცა მნიშვნელობა აქვს იმასაც, თუ რა ზომითაა ეს პრობლემები სისტემაში. ვთანხმდებით, რომ დაბალია მასშტაბულობა კვალიფიკაცია, მაგრამ ის მდგომარეობა, რომელიც 2015 წლის ზაფხულში ჩატარებულმა მასშტაბულობითა საკვალიფიკაციო გამოცდებმა გამოავლინა, საგანგაშო და კატასტროფულია. როგორ უნდა იფუნქციონეროს სისტემამ, სადაც გამოცდაზე გასულ დაწყებითი სკოლების მასშტაბულობით 95%-ზე მეტი მინიმალურ ზღვარს ვერ ლახავს. ეს ბოლო მონაცემი იმას ნიშნავს, რომ ჩვენი ბავშვების უდიდესი რაოდენობა პირველ კლასებშივე ვერ აითვისებს სასწავლო მასალას, ვერ მოემზადება სკოლის შემდეგი საფეხურებისათვის, ვერ შეიქმნის სწავლის მოტივაცია. მათ გაუჩნდებათ კომპლექსები საკუთარი შესაძლებლობების მიმართ. ერთი სიტყვით, ბავშვი დიდი ხნით, თუ საშუალოდ არა, ამოვარდება სასწავლო პროცესიდან.

გარდაქმნის დაწყების მთავარი პრობლემა ის, რომ ლიდერთა ჯგუფს არ ჰყოფნის ინერციის დაძლევის, უმრავლესობის მიერ მიღებული ხედვის კრიტიკული გადახედვის სიოთხამე. ლიდერმა უნდა შეძლოს ყოველსიმომცველი რეფორმის დაწყების რთული გადაწყვეტილების მიღება, შემოიკრიბოს თანამოაზრეები, ორგანიზაცია გაუწიოს საწყისი, ძირითადი მიმართულებების ამსახველი პოლიტიკის დოკუმენტის შექმნას და ხელი შეუწყოს პროცესს, რათა ეს დოკუმენტი ექსპერტებმა, სასკოლო სფეროს მუშაკებმა, საზოგადოების ფართო წრეებმა განიხილონ და საბოლოოდ დაეთანხმონ მას. ლიდერთა ჯგუფმა უნდა განსაზღვროს პრიორიტეტები, რომლებიც უეჭველია და გადაუხედვს არ ექვემდებარება და მათი განხორციელების რესურსები მოიპოვოს.

დაწყებითი შეფერვებით პოლიტიკის დოკუმენტის განხილვის ეტაპზე. ზოგადად სახელმწიფო პოლიტიკის, მით უმეტეს სოციალური პოლიტიკის, განხორციელება წარმატებული ვერ იქნება, თუ იმ ადამიანებს, ვისკენაც არის მიმართული ეს პოლიტიკა, არ ესმით მისი არსი და/ან არ ეთანხმებიან მას. უნდა ჩამოყალიბდეს კრიტიკული მასა იმ პირებისა, რომლებიც არა მარტო იზიარებენ რეფორმის იდეებს, არამედ ესმით მისი განხორციელების მიმართულებები, ესმით, რომ რთული გარდაქმნის განხორციელება აუცილებლად მოითხოვს პრობლემებს და მზად არიან გაუმკლავდნენ მათ. ამ პროცესში სინამდვილეში ოთხი ტიპის ინტერესი და ცოდნა უნდა იყოს ჩართული: 1. საზოგადოების რიგითი წევრები, არა მარტო მშობლები, არამედ ქვეყნის განვითარებით დაინტერესებული ადამიანები; 2. განათლების დარგის პროფესიონალები, როგორც პრაქტიკოსი პედაგოგები და ადმინისტრატორები, ასევე, განათლების საკითხებზე მომუშავე მეცნიერები; 3. პოლიტიკოსები, რომლებმაც ეს რეფორმა, ეს გარდაქმნები ქვეყნის საერთო განვითარების კონტექსტში უნდა განიხილონ და ამ კონტექსტში ჩასვან. სხვადასხვა პარტიების წარმომადგენელ პოლიტიკოსთა შეთანხმება რეფორმის სოციალურ-პოლიტიკური ასპექტებზე, შექმნის რეფორმის პროცესის მდგრად და წარმართვის და უწყვეტობის უზრუნველყოფის პირობებს<sup>4</sup>. 4. სოციალური კონსტრუირების სპეციალისტები, რომლებიც პასუხისმგებელი იქნებიან რეფორმის პროცესის მეთოდოლოგიური საფუძვლების დამუშავებაზე.

ჩვენს ქვეყანაში საგანმანათლებლო პოლიტიკის დოკუმენტების საზოგადოებრივი განხილვა სახელმწიფო განვითარების ერთ ძალიან მნიშვნელოვან ასპექტსაც უხედა. საქართველოში, მოდერნული სახელმწიფოს ჩამოყალიბებასთან ერთად, მიმდინარეობს თანამედროვე ერთი სახელმწიფოს ჩამოყალიბების პროცესი. „ერთი არის იმ ადამიანთა ერთობლიობა, რომლებიც თავს ერთი ბედის წინაშე მდგომად აღიქვამენ“ (მერაბ მამარდაშვილი). რადგანაც განათლების რეფორმა ის

საკითხია, რომელიც გულგრილს არ ტოვებს ქვეყნის არც ერთ მოქალაქეს, პიროვნების ჩართვა რეფორმის განხილვის პროცესში, იმ განცდის გაჩენა, რომ მისი აზრი მოსმენილი და გათვალისწინებულია, ხელს უწყობს მასში მოქალაქის ჩამოყალიბების პროცესს. ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ჩვენი ქვეყნისათვის მისი მრავალეთნიკურობის და მრავალკონფესიურობის გამო.

## იმ ძირითადი ჩარევის არსი, რომელიც საბავშვო განათლების სისტემაში უნდა მოხდეს

როდესაც ქვეყანაში მწვავე ეკონომიკური, სოციალური, პოლიტიკური კრიზისია, სახელმწიფო, მისი ცენტრალური ხელისუფლება, იღებს თავის თავზე არა მარტო ძირითად პასუხისმგებლობას, არამედ მართვის ძირითად სადავეებსაც. მაგალითად, ამერიკის შეერთებული შტატების ისტორია ამის მრავალ მაგალითს იცნობს: რუზველტის ეკონომიკური პოლიტიკა დიდი დეპრესიის დროს, ასევე რუზველტის უპრეცედენტო მხარდაჭერა ამერიკის კერძო უნივერსიტეტებისათვის, პრეზიდენტ ბუშისა და შემდეგ ობამას მიერ მონეტარული ინტერვენციის განხორციელება საბანკო სექტორში. ასეთი მაგალითების მოყვანა მსოფლიოს მრავალი ქვეყნის ისტორიიდან შეიძლება.

მსოფლიო გამოცდილება წარმატებული სასკოლო სისტემის რეფორმების განხორციელებაში იმავე მიდგომის სამართლიანობას გვიჩვენებს. სასკოლო განათლების კრიზისულ მდგომარეობაში ყოფნისას, როდესაც ქვეყანა აცნობიერებს, რომ მის შემდგომ განვითარებას, მის მოქალაქეთა კეთილდღეობას საფრთხე ემუქრება, ცენტრალური ხელისუფლება თავის თავზე იღებს პასუხისმგებლობას და შესაბამისად მართვის სადავეებს. კრიზისულ მდგომარეობაში მყოფ განათლების სისტემაში მართვის საშუალო რგოლებს, სკოლებს ადამინისტრაციას და პედაგოგებს მკაცრად განსაზღვრული, კარგად არტიკულირებული და რეალისტური მოქმედების გეგმა მიენიშნება. უკლებლივ ყველა ქვეყნის (დიდი რეგიონის) სასკოლო სისტემაში, რომელმაც წარმატებას მიაღწია, ეს მიდგომა გამოიყენა საკუთარი სასკოლო სისტემის რეფორმირების საწყის ეტაპზე. რაც უფრო პრობლემურია სისტემა, რაც ნაკლებია პროფესიონალიზმი მის ყველა დონეზე, მით მეტი უნდა იყოს ცენტრალური ხელისუფლების უშუალო ფუნქცია.

მსოფლიოში წარმატებულ სასკოლო რეფორმათა (ფინეთი, სინგაპური, კანადის ონტარიო, აშშ-ს მასაჩუსეტის შტატი და ლონგ ბიჩის რეგიონი, ჰონკონგი, ბრაზილიის მინას გერეისის რეგიონი, პოლონეთი, სლოვენია და ა.შ.)<sup>5</sup> მიმდინარეობის დინამიკა ასეთია. ცენტრი ყურადღებით აკვირდება სწავლების პროცესს (აფასებს მოსწავლეთა მოსწრებას) და მხოლოდ მაშინ, როდესაც მოსწავლეთა მოსწრება სტაბილურად უმჯობესდება, განსხვავება როგორც ძლიერ და სუსტ მოსწავლეთა შორის, ასევე, განსხვავება სკოლებს შორის იწყებს შემცირებას, იწყება პასუხისმგებლობის და გადაწყვეტილების მიღების დელეგირება უფრო ქვედა დონეებზე – მართვის საშუალო დონეზე, სკოლების ადმინისტრაციასა და პედაგოგებზე. რაც უფრო მეტად მალდება პედაგოგთა პროფესიონალიზმი და უმჯობესდება სისტემა მთლიანად, ცენტრიდან მართვა, ძირითადად, თავისუფალი ზოგადი მითითებების ფორმით ხორციელდება. ცენტრი გადადის პედაგოგთა შემოქმედების და ნოვატორობის ხელშეწყობაზე, რადგან ეს განიხილება, როგორც სასკოლო სისტემის პროგრესის ძირითადი მამოძრავებელი.

რომ შევჯავშოთ, დღეს, ამ ეტაპზე, საქართველოს განათლების სამინისტრომ უნდა აიღოს თავის თავზე სრული პასუხისმგებლობა, ნაკლებად გადაანაწილოს ის ქვედა რგოლებზე და ყველა დონეზე უზრუნველყოს საკუთარი დირექტივების და გადაწყვეტილებების აღსრულება. იმ შემთხვევაში, თუ მიიღება გადაწყვეტილება პასუხისმგებლობის უფრო დაბალ

4. მაგალითად, ფინეთის სასკოლო სისტემის წარმატების ერთ-ერთ ძირითად პირობად მიჩნეულია ის, რომ კონსენსუსი იქნა მიღებული სხვადასხვა ორიენტაციის პარტიათა შორის – ზომიერი მემარცხენე სოციალ-დემოკრატებიდან დაწყებული და ლიბერალური და მთავრებული.

5. ეს მონაცემები ალბათ იყვნენ ფუნდამენტურ ნაშრომიდან (How the world's most improved school systems keep getting better. McKinsey & company, 2011, სადაც გაანალიზებულია 20 ქვეყნის წარმატებული სასკოლო რეფორმა.

საერთაშორისო კვლევა

დონეზე დელეგირების შესახებ, განუხრელად უნდა ტარდებოდეს პროცესის მიმდინარეობის მონიტორინგი.

ვაცნობიერებთ, რომ შესაძლებელია სისტემაში გაჩნდეს ცდუნება, დიდი ხნით შენარჩუნდეს ცენტრალიზებული მართვა. ხელისუფლების მონინავე ნაწილმა, საზოგადოების დაინტერესებულ პირებთან ერთად, როცა განათლების სისტემა გარკვეულ დონეს მიაღწევს (რაც ობიექტურად გაზომვადია), უნდა დაიწყოს ცენტრალური მართვის სადავეების თანდათანობით შესუსტება და მისი ქვედა დონეზე გადატანა.

სასკოლო რეფორმის სანყისი მიზანი და ამოცანები

მიზანი. ამ ეტაპზე ჩვენი სასკოლო სისტემის რეფორმირებას შემდეგი ძირითადი მიზანი უნდა დაუფასოთ:

- მოსწავლეთა წიგნიერების და მათემატიკის საფუძვლების ცოდნის დონის ამაღლება.
- ეს მიზანი ამ ეტაპზე სასწრაფოდ მისაღწევი და გავიუმრებელია, რომ მსოფლიოს უკლებლივ ყველა ქვეყანაში, სადაც რეფორმა დაიწყო და წარმატებით განხორციელდა, ის იყო დასახული სწორედ როგორც გადაუდებელი, როგორც პირობა, რომ თაობებს არ მოუწოდებდა ცხოვრებაში ელემენტარული სასიცოცხლო უნარების გარეშე შესვლა. ამ მიზნის მიღწევის ამოცანა უნდა დაელოს საფუძვლად არსებული რესურსების გადანაწილების პროცესს.
- ამოცანები. წიგნიერების და მათემატიკის სანყისი საფუძვლების მიღწევის ამაღლებისათვის საჭიროა შემდეგი ამოცანების გადაჭრა:
  - დაბალი კვალიფიკაციის მოსწავლეების და სკოლის ადმინისტრაციის კვალიფიკაციის და მოტივაციის ამაღლება;
  - ყველა სკოლის მიყვანა ხარისხის მინიმალურ სტანდარტამდე;
  - სკოლის ხელმისაწვდომობის გაზრდა თითოეული მოსწავლისათვის.

განვიხილოთ თითოეული ამოცანა.

მოსწავლეების და სკოლის ადმინისტრაციის კვალიფიკაციის და მოტივაციის ამაღლება

საქართველოს პედაგოგთა დიდი უმრავლესობის პროფესიული დონე და კვალიფიკაცია არაადასრულებულია. ამიტომ, საჭიროა მათი რადიკალური დახმარება. სასკოლო გეგმა და პროგრამა თითოეული გაკვეთილის სახით უნდა დანაწილდეს. მოსწავლეებს უნდა მიეცეს გაკვეთილების სცენარი<sup>6</sup>. ფაქტობრივად, ეს ნიშნავს, განისაზღვროს თითოეული გაკვეთილის მიზანი, გეგმა, მეთოდი და სასწავლო მასალა, რაც მოსწავლეებს საშუალებას მისცემს სწორად „შეასრულოს“ გაკვეთილი. ე.ი. მას მიენიჭება გაკვეთილის წარმართვის დადგენილი, აუცილებლად შესასრულებელი, ფორმა. მოსწავლეებს უნდა გაუადვილდეს სწავლების პროცესი. შეთავაზებული სცენარები, შესაძლოა, არ აღმოჩნდეს სრულყოფილი სანყის ეტაპზე, მაგრამ უნდა მოხდეს მათი მუდმივი გაუმჯობესება მიღწეული შედეგების ანალიზის საფუძველზე. ამასთან, სულ უნდა ვვახსოვდეს, რომ მოსწავლეებელი არ არის ტექნიკური მუშაკი, ამ პირობებშიც მას შემოქმედების ადგილი რჩება.

არის ხიფათი, რომ ბევრ მოსწავლეებს მოეწონოს სიტუაცია, როცა მას არ სჭირდება განსაკუთრებული ძალისხმევა და დაძაბვა და ინერციით წაყვება ერთხელ დადგენილ გზას. ამიტომ, სისტემის კრიზისული სიტუაციიდან გამოსვლის პარალელურად, დასამუშავებელია ინიციატივების და ნოვატორების ნახალისების მექანიზმები.

იმ მოსწავლეებს, რომლებსაც თავიდანვე არ მოუწოდებთ გაკვეთილის დადგენილი სცენარის გამოყენება საკუთარ კლასში, სასწავლო პროცესის თავისი გეგმით და მეთოდით წარმართვის ნება უნდა მიეცეთ. ოღონდ, ამ შემთხვევაში, მათ

6. რაც მოხდა საბჭოთა განათლების სისტემაში და რამაც გამოიწვია სკოლებში ინიციატივების და ინიციატივების არარსებობა;  
 7. Scripted teaching materials (scripted lessons) – შემუშავებული სასწავლო მეთოდური მასალები, მეცადინეობის დეტალური სცენარები;  
 8. „ჩვენი საიდუმლო იარაღი გაკვეთილების უნიფიცირება იყო“ – ინტერვიუ ფინეთის სასკოლო სისტემის მაღალი რანგის მოხელესთან. „Can the U.S. and other countries learn from Finland?“.

უნდა აიღონ პასუხისმგებლობა თავისი მოსწავლეების მიღწევითა და დონეზე, რაც პერიოდულად უნდა შემოწმდეს. ამ მიდგომით თავიდან ავირიდებთ მასწავლებელთა კორპუსში თავისუფლების შეზღუდვის და უნდობლობის შეგრძნების გაჩენას, რაც რეფორმისადმი ფარულ წინააღმდეგობაში შეიძლება გადაიზარდოს. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ბევრ ქვეყანაში გაკვეთილების დადგენილი ფორმა სავალდებულო სახით დაამკვიდრეს<sup>7</sup>. მიგვაჩნია, რომ საქართველოში, ჩვენი კულტურული კონტექსტის გათვალისწინებით, ასეთი ხისტი მიდგომა არ გამართლებს.

ახალი კურიკულუმის და გაკვეთილების სცენარების შემუშავების შემდეგ უნდა დადგინდეს მასწავლებელთა წვრთნის ფორმები ახალ რეალობაში. საჭირო იქნება წვრთნის ვადების დადგენა. უნდა იქნეს მიღებული პოლიტიკური გადაწყვეტილება იმის შესახებ, თუ რა სახით იქნება უზრუნველყოფილი მასწავლებელთა ტრენინგებში მონაწილეობა. გადასანყვეტია სავალდებულო და ნებაყოფლობითი მიდგომების სწორი შეხამება. ამ წვრთნებს არ უნდა ჰქონდეთ მხოლოდ სასემინარო ფორმა. მწვრთნელებმა მასწავლებლებთან საკლასო ოთახშიც უნდა იმუშაონ. სასკოლო სისტემების გაუმჯობესების საქმეში დიდ ეფექტს იძლევა მულტიმედირი საშუალებების გამოყენება. ამის ერთ-ერთი ფორმაა სამაგალითო გაკვეთილების ჩანაწერების გაკეთება და გავრცელება.

სასწავლო პროცესის ადგილზე დაკვირვების მიზნით, პრობლემები უნდა განიხილებოდეს სკოლებში ადმინისტრაციასთან და პედაგოგებთან ერთად. ეს იქნება სტიმული მოტივაციის და მუშაობის ხარისხის ასამაღლებლად.

საჭიროა გადაიხედოს იმ სასწავლო დროის მოცულობა, რომელიც მოსწავლეს კონკრეტული საგნის ათვისებისათვის ეძლევა. დღეს მსოფლიოში სულ უფრო და უფრო მეტ მომხრეს იძენს ამგვარი პედაგოგიური მიდგომა: არ არსებობს ფიქსირებული შესაძლებლობის ბაჟი, უბრალოდ ზოგი ბაჟი უფრო ნელა სწავლობს<sup>9</sup>. დღესდღეობით მსოფლიოში ამ მიდგომის ცხოვრებაში გატარების მრავალი საშუალებაა აპრობირებული. საქართველოს განათლების სისტემაში საკუთარი არჩევანი უნდა გააკეთოს.

ყველა ამ ცვლილების ჩატარებისათვის ცენტრალურია პროფესიული კადრების საკითხი. მთელ საქართველოში მობილიზებული უნდა იყვნენ მეცნიერები, გამოცდილი ადმინისტრატორები და პედაგოგები, სასკოლო განათლების პროფესიონალი მენეჯერები, პედაგოგთა გადამზადების არსებული ცენტრების თანამშრომლები, მართვის ორგანიზაციის სპეციალისტები.

ყველა სკოლის მიყვანა მინიმალურ ხარისხის სტანდარტამდე

ამ ამოცანის მისაღწევად:

- პირველ რიგში, უნდა დადგინდეს ის მინიმალური ცოდნის დონე, რომელსაც მოსწავლეებმა უნდა მიაღწიონ ყველა სკოლაში;
- რეგულარულად (მაგ. ყოველ სამ-ოთხ თვეში) უნდა ხდებოდეს მოსწავლეთა ცოდნის შეფასება. თანაც ამ შეფასებას, პირველ ეტაპზე, ახდენენ სკოლის ან რეგიონის დონეზე;
- უნდა შეიქმნას მონაცემთა ბაზა პროგრესის მონიტორინგისათვის.

სამივე ამოცანის შესასრულებლად საქართველოში არსე-

9. ჰონკონგი, სინგაპური, ფინეთი და ბევრი სხვ.;  
 10. ეს მიდგომა სახელდება იმ წარმატების ქვაკუთხედად, რომელსაც ფინეთის სასკოლო სისტემაში მიაღწია. ფინეთში ყველაზე მცირეა განსხვავება მოსწავლეებს შორის ცოდნის დონის მხრივ. „არ უნდა გადავჭარბოთ ბავშვების სხვადასხვა კოგნიტიური მონაცემების გალენა სწავლების რეზულტატზე. თუ სასწავლო მასალა ისე აიგება, რომ ის მიესადაგება ყველა მოსწავლეს და ნაბიჯ-ნაბიჯ რთულდება, თუ ინდივიდუალური განსხვავებები ითვალისწინებენ დროს, რაც აუცილებელია სწავლისათვის, მაშინ შედეგები სხვადასხვა ბავშვთა შორის არ იქნება დიდად განსხვავებული. ე.ი. საფუძვლიანია საბაზო სკოლაში მოვადიდონ სწავლების დიფერენციაცია ისე, რომ სწავლების განსხვავებული დრო, სისტემის განუყოფელი ნაწილი გახდეს“. ფინეთის საბაზო სკოლის სასწავლო პროგრამა (POPS 1970, 136).

ბობს ორგანიზაციული და ადამიანური რესურსი გამოცდების და შეფასების ეროვნული ცენტრის სახით. ეს ორგანიზაცია უკვე მუშაობს სკოლებში უნივერსალური შეფასების სისტემის დანერგვისათვის. შეფასების პროცედურა იმგვარად აიგება, რომ, საჭიროების შემთხვევაში, სწავლების პროცესის კორექტირების საშუალებას უზრუნველყოფს.

სპეციალურმა კომისიამ უნდა შეაფასოს სკოლათა ინფრასტრუქტურა, სიმძლავრეები და რესურსები, რათა მოხდეს მათი მიყვანა ადეკვატურ მინიმალურ ზღვრამდე მაინც.

ყველა სკოლა უნდა მომარაგდეს სახელმძღვანელოებით და სასწავლო თვალსაჩინო ნივთებით.

უნდა მოხდეს ძალიან სუსტი სკოლების მიზნობრივი დახმარება.

კონკრეტული სკოლების დახმარება უნდა დაიგეგმოს რეალური ფინანსური და სხვა შესაძლებლობის მიხედვით. მაგალითად, შეიძლება, დასაწყისში დახმარება მაღალმთიან სოფლებში მდებარე ან ეთნიკური უმცირესობებით დასახლებული რაიონების სკოლებს გაენიოს<sup>11</sup>.

სკოლის ხელმისაწვდომობის გაზრდა თითოეული მოსწავლისათვის

სკოლაზე ხელმისაწვდომობა არა მარტო სასწავლო პროცესის ხელმისაწვდომობას, არამედ მოსწავლის სხვადასხვა საბაზისო სოციალურ (კვება, ჯანმრთელობა, ტანსაცმელი, ტრანსპორტი, სანიტარული მდგომარეობა სკოლაში და ა.შ.) მოთხოვნათა დაკმაყოფილებასაც გულისხმობს. უნდა გაანალიზდეს სიტუაცია და მოხდეს ამ საბაზისო საჭიროებათა შევსება.

სასკოლო სისტემის რეფორმის აუცილებელი ღონისძიებები განვითარების ნებისმიერ ეტაპზე

ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, რომ იდენტურ სანყის მდგომარეობაში მყოფ სისტემებს ასევე იდენტურ ღონისძიებათა ნაკრები შეესაბამება, მაგრამ არსებობს ღონისძიებები, რომლებიც უნდა განხორციელდეს სასკოლო სისტემის რეფორმირების ყველა ეტაპზე, დამოუკიდებლად იმისა, თუ რეფორმირების რომელ მომდევნო ეტაპზე გადადის სისტემა, მაგ. არადა-მაკმაყოფილებლიდან დამაკმაყოფილებელზე ან კარგიდან ძალიან კარგზე და ა.შ. ე.ი. ეს ღონისძიებები უნდა ტარდებოდეს მუდმივად, განვითარების ნებისმიერ დონეზე მყოფ სასკოლო სისტემებში. ჩვენ მხოლოდ ჩამოვთვლით მათ: სტანდარტებისა და პროგრამების გადახედვა; მოსწავლეთა მიღწევების შეფასების მუდმივმოქმედი სისტემის შექმნა; პედაგოგთა და სასკოლო ადმინისტრაციის ანაზღაურების და ნახალისების სტრუქტურის გადახედვა; მოსწავლეებელთა და ადმინისტრაციის ტექნიკური უნარების გაუმჯობესება; მონაცემთა ბაზების შექმნა; პოლიტიკის დოკუმენტების და საკანონმდებლო ბაზის შემუშავება; სასკოლო სისტემის ინსტიტუციური გაძლიერება.

მოკლედ ვაჯამებთ:

საქართველოს სასკოლო სისტემა იმყოფება განვითარების არადადაკმაყოფილებელ საფეხურზე. მისი რეფორმირებისას აუცილებელია განხორციელდეს სწორედ ამ საფეხურისათვის აუცილებელი პოლიტიკა. უნდა შემუშავდეს კონკრეტული პოლიტიკა და მისი განხორციელების დროში განერიოლი პროგრამა. ეს დოკუმენტები უნდა გახდეს ფართო საზოგადოებრივი და პროფესიული განხილვის საგანი. განათლების მართვის უმაღლესი რგოლი ვალდებულია, დაგეგმოს და განახორციელოს ეს პროცესი, მათ შორის მასმედიის ჩართვით, რაც ძალიან მნიშვნელოვანია არა მხოლოდ განათლების სისტემის წარმატებისათვის, არამედ უფრო ფართო სახელმწიფოებრივი კონტექსტის თვალსაზრისით.

წარმატებული სასკოლო განათლების სისტემის რეფორმის განხორციელება სახელმწიფოს მდგრადი განვითარების პირობა და მისი უსაფრთხოების დაცვის მნიშვნელოვანი არასამხედრო ასპექტია.

მოამზადა ანა ფირცხალაიშვილმა

11. ფინეთში რეფორმა დაიწყო ქვეყნის ჩრდილოეთის მცირედ დასახლებული ნაწილიდან და ბოლოს მივიდა პელსინკამდე.

სასკოლო აქტივობა

ვკითხულობთ რუსთაველს



იუნესკომ 2016 წელი რუსთაველის წლად გამოაცხადა და ჩვენი პროექტიც ამას მიეძღვნა. 14 ივნისს, №190 საჯარო სკოლაში, პროექტის „ჩვენ ვკითხულობთ რუსთაველს“ ფარგლებში, V2 კლასში, ჩავატარეთ თეატრალიზებული სახანაობა.

მოსწავლეებმა დახატეს თამარისა და რუსთაველის ეპოქა. საბა მიქელაძე, საბა ამანათაშვილი, თათია შარვაძე, ცოტნე სუხაშვილი, ნიკა ჯაჯანიძე, ზაურ ჯაყელი, მარიამ მიქიაშვილი „ტკბილქართულად“ მეტყველებდნენ, მათ ტოლს არ უდებდნენ სხვებიც. მოსწავლეებმა წარმოადგინეს სცენები „ვეფხისტყაოსნიდან“. ზაურ ჯაყელმა და ნიკა ჯაჯანიძემ შთამბეჭდავად შეასრულეს თავიანთი როლები.

ამგვარი სახის პროექტები ხელს უწყობს მოსწავლეთა მეტყველების განვითარებას და ამაღლებს სწავლისადმი მოტივაციას.

ქათივან ჭალიძე  
ქართული ენის კათედრის გამგე,  
ქართული ენის მასწავლებელი



# გაკვეთილის ხარისხი – გერმანიის სკოლების უმთავრესი პრიორიტეტი

გასულ კვირას, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის, ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის განათლების მეცნიერებათა დეპარტამენტმა **პარტმუშ მაიერის** საჯარო ლექცია დააანონსა, თემაზე: „სკოლის მართვით სწავლის ხარისხის განვითარების პროცესში“. პარტმუშ მაიერი ქალაქ ლუდვიგსჰაიმის გოტლიბ დიმიტრიის სკოლის დირექტორი, გერმანიის, ავსტრიის და რელიგიის მსწავლელია, ამის გარდა, ის გერმანიის სახელმწიფო უნივერსიტეტის ავსტრიის, რომელიც ივანე ჯავახიშვილის სახელობის სკოლაში ინსტრუქტორად მუშაობს; იბარებს მოსწავლე მსწავლელის სახელმწიფო გამოცდას გერმანიაში, ეკონომიკაში, პოლიტიკაში, გეოლოგიაში და პედაგოგიაში ფსიქოლოგიაში; არის სკოლის განვითარების ინსტიტუტის თანამშრომელი და მოდულის ავტორი, ტრენერი; ამჟამად სკოლას შიდა და გარე ურთიერთობების ასპირანტი და სკოლის განვითარების მენეჯერი, სკოლის დირექტორის, სოფიო დედა-ლამაზიშვილის შიდა ურთიერთობების დირექტორი.

განათლების საერთაშორისო ცენტრის სტივენდერის ფარგლებში, პარტმუშ მაიერი ჩასულ სკოლის დირექტორისთვის გაცვლითი პროგრამა შეთავაზებინა. „პარტმუშ მაიერი სკოლის კამპუსში, სადაც მისთვის მივიღე მიმსახიობი. ერთ შენობაშია განათლების მეცნიერების განყოფილება და „რეალ სკოლა“. ერთი თვის განმავლობაში, სამივე სკოლის დირექტორთან მოხდა ურთიერთობა და ძალიან ინ-

ტენსიური მუშაობა მიდიოდა ადმინისტრაციულ საკითხებზე – როგორ იმართება სკოლა. სწორედ ამაზე გაიჩნდა იდეა და შევთავაზე კვირ მაიერს, სკოლა არ სურდა საბარტოლოში გაცვლითი პროგრამის განხორციელება.

მისგან საკმაოდ დიდი დაინტერესება მივიღე, დავინახე ამ პროექტზე ფიქრი და მუშაობა. თუმცა, ვიღერა ოფიციალურად შევთანხმდებოდით, მან ჩვენი შეთანხმება მოინახულა. ამის შემდეგ გავაფორმეთ ოფიციალური ხელშეკრულება.“ – ამბობს ქალბატონი სოფიო.

2018 წელს ქალაქ ლუდვიგსჰაიმის გოტლიბ დიმიტრიის სკოლის 15 მოსწავლე და რამდენიმე მსწავლელი ორი კვირით ჩამოვა გაცვლითი პროგრამით 43-ე სკოლაში, შემდეგ ამდენივე ქართველი მოსწავლე გაემგზავრა გერმანიაში. ეს იქნება კულტურულ-საგანმანათლებლო პროგრამა, რომლის ფარგლებშიც, გარდა იმისა, რომ გაკვეთილებს დაეხმობიან, ქართული და გერმანული სკოლების მოსწავლეები ერთმანეთს ურთიერთობენ. სტუმარი გაცვლითი მოსწავლეების ოჯახებში იტყობიან და შემდეგ, ანალოგიურად, თავად უმასპინძლებენ ქართველ თანატოლებს.

„ვფიქროვ, ამ პროექტით ჩვენს მოსწავლეებს ძალიან კარგ შესაძლებლობას ვთავაზობთ, განიცადებენ კულტურას, ინტენსიური კონტაქტი ექნებათ გერმანულ თანატოლებთან, სხვა თვალსაწიერი და შესაძლებლობები მიეცემათ. გერმანია ისეთი ქვეყანაა, ამ შემთხვევაში საგანმანათლებლო სისტემას ვგულისხმობ, რომ, ალბათ, სწორება მასზე უნდა ავიღოთ.“

პარტმუშ მაიერი კი ფიქრობს, რომ ამ პროექტით თავის მოსწავლეებს პატარა, მაგრამ ძალიან თბილად აღამიანებთ და მაღალი კულტურით გარემო-



ცული ქვეყნის გაცვლითი შესაძლებლობას აქლავს. გთავაზობთ ინტერვიუს კვირ მაიერთან განათლების სისტემის საკითხებზე – როგორ აისახება სკოლის მართვით სწავლის ხარისხის განვითარების პროცესზე, რა არის გერმანული სკოლისთვის ნომარ პირველი პრიორიტეტი, როგორ მომზადდება მსწავლელი პროგრამა, იდეებს მათი სკოლა და როგორია მისი თვალთვლით დანახული ქართული საგანმანათლებლო რეალობა.

## – რა არის უმთავრესი გერმანულ სკოლაში?

– ვინაიდან გერმანიაში ფედერალური მოწყობაა, ამიტომ განათლების სისტემა არ არის ცენტრალიზებული და ყველა მინაზე ერთმანეთისგან განსხვავებულია, ამიტომაც მე ბადენ-ვიურტემბერგის სისტემაზე ვისაუბრებ. მართალია, სისტემები ერთმანეთისგან განსხვავებულია, მაგრამ ყველგან მნიშვნელოვანი და სავალდებულოა გაკვეთილის მაღალი ხარისხი და სწორი მენეჯმენტი. როგორ უნდა იმუშაოს სკოლებმა, ამის შესახებ რეკომენდაციებს ექსპერტებისგან იღებენ. ერთ-ერთი ასეთი ექსპერტი თავად ვარ და, წლების განმავლობაში, ვეხმარებოდი სკოლებს შიდა შეფასებებში. შიდა შეფასებით სკოლები ადგენენ არსებულ პრობლემებს და შემდეგ მათ გამოსასწორებლად მუშაობენ, თითოეული სკოლა საუკეთესო შედეგის მიღწევას ცდილობს. თავისთავად, სკოლაში ძალიან ბევრი პარალელური პროცესი მიმდინარეობს, მაგრამ უმთავრესი საგაკვეთილო – სწავლა-სწავლების – პროცესია, შემდეგ მოდის: კლასისა და სკოლის კლიმატი; სკოლის მართვა და მენეჯმენტი; გარე კონტაქტები; მშობლებთან ურთიერთობები და ა.შ. ცალ-ცალკე ყველა სფერო მნიშვნელოვანია და ხარისხის განვითარების ფოკუსში მოქცეული, მაგრამ უმთავრესი აქცენტი მაინც გაკვეთილებზე, საბოლოო ჯამში, ყველაფერი გაკვეთილის ხარისხის ამაღლებას უკავშირდება.

როგორც ეკონომიკაში, აქაც, დაახლოებით, ასეთივე პრინციპია – რაღაცას იღებ, შემდეგ გადაამუშავებ და იღებ მოგებას. ამ შემთხვევაში მოგებაა ის, რასაც წარმატებულად ახორციელებ, ანუ რა შედეგზე გადის. მთლიანად პროცესშიც სწორედ შედეგზე ხარ ორიენტირებული. შედეგების განხილვისას, აუცილებლად უნდა გაითვალისწინოთ ის, თუ რა კატეგორიის მოსწავლეები შეადგენენ სკოლის კონტინენტს – უფრო დაბალი ფენის წარმომადგენლები თუ საშუალო, რაც, თავისთავად, გაძლევს განსხვავებებს. მუშაობის პროცესში მასწავლებელი ამასაც აქცევს ყურადღებას, რადგან ყველა შემთხვევა და ყველა ბავშვის ერთნაირად ვერ მიუღებელია, განსხვავებული პრობლემები და საჭიროებები იკვეთება. რა თქმა უნდა, სახელმწიფოს გარკვეული ჩარეობები აქვს დადგენილი, რის მიხედვითაც უნდა მოხდეს სკოლების განვითარება. უმნიშვნელოვანესია, პროცესი შედეგოვანი კოლექტივის სრული ჩართულობით განხორციელდეს. ასევე აუცილებელია უკუკავშირის სისტემის ჩამოყალიბება, რომელიც პროფესიულად და ჩაშენ-

ბული სკოლის შიდა შეფასებისა და ხარისხის განვითარების პროცესში. ძალიან დიდი აქცენტი კეთდება იმაზე, რომ შედეგების სრული ჩართულობით მოხდეს პრობლემის იდენტიფიცირება და, შემდგომში სისტემის მიხედვით, შემდგომი ნაბიჯების გადადგმა.

სკოლების განვითარების ასეთი სისტემა სავალდებულოა 2007 წლიდან გახდა. სახელმწიფომ დაადგინა, რომ ყველა სკოლა უნდა შეფასდეს შიდა და გარე შეფასების სისტემით. რადგან მანამდე ასეთი გამოცდილება არ ჰქონდათ, სახელმწიფომ შესთავაზა სკოლებს სხვადასხვა პროექტები და მოდულები, რომლებიც მათ შიდა შეფასების, ანუ ხარისხის განვითარების საკუთარი მოდელის განხორციელებაში დაეხმარებოდა.

იმისთვის, რომ სკოლები გადამოწმდნენ, რა ხარისხზე გადაიან, სკოლების განვითარების ინსტიტუტის ექსპერტების მიერ, ხუთ წელიწადში ერთხელ, ხდება ყველა სკოლის გარე შეფასება. შემდეგ სკოლა იღებს დეტალურ ინფორმაციას, თუ რა შედეგები აქვს და შემდგომი ხუთი წლის განმავლობაში რა ნაბიჯები უნდა დაგეგმოს, რომ მომდევნო შეფასებისთვის პროგრესი აჩვენოს. თავისთავად ცხადია, ხუთი წლის განმავლობაში მიმდინარე შიდა შეფასების პროცესები ხარისხის განვითარებაზეა მიმართული და იმ ხარვეზების აღმოფხვრას ითვალისწინებს, რომელიც სკოლაში გამოვლენილი. ამ რეკომენდაციებში შედის ის ასპექტები, რომელზეც უკვე ვისაუბრე – ყველამ იცის რა ფასდება და საით უნდა წავიდეს. გარე შეფასება რაც შეიძლება ობიექტური და ამომწურავი რომ იყოს, სკოლაში, ყველა მიმართულებით ხდება მოსწავლეების, მშობლების, ადმინისტრაციის თანამშრომლების და პედაგოგების გამოკითხვა, ასევე, მონაწილე დოკუმენტაცია, რადგან პროცესი მხოლოდ ქალაქში დაწერილი არ აღმოჩნდეს. ვიდრე გარე შეფასების ექსპერტები მივლენ, სკოლა ამზადებს ელექტრონულ პორტფოლიოს, სადაც დეტალური ინფორმაციაა განათავსებული, როგორ მიმდინარეობს სკოლის შიდა შეფასების პროცესი და ზოგადად, სახელმწიფოს მიერ დადგენილი კრიტერიუმებზე მორგებული მუშაობა. პორტფოლიო მუდმივად განახლებადია და გულისხმობს როგორც გამოვლენილი ხარვეზების და პრობლემების გამოსწორებას, ისე სიახლეების დანერგვას. პორტფოლიო სკოლაში ახალშემოსულ კოლეგებსაც ეხმარება იოლად გაერკვნენ, რა ვითარებაა ნებისმიერი მიმართულებით, სკოლის გამოცდილები-

დან რა გაითვალისწინონ და რა არა.

## – იმ შემთხვევაში, როცა სკოლა ვერ აკმაყოფილებს შიდა და გარე შეფასების კრიტერიუმებს, პირველ რიგში, ვის ეყრდნობა პასუხისმგებლობა ან როგორ ხდება პრობლემის გადაჭრა?

– რა თქმა უნდა, პასუხისმგებლობა სკოლის დირექტორს ეკისრება. თუ დადგინდება, რომ სკოლაში ძალიან ბევრი პროცესი ცუდად მიდის, მაშინ ექსპერტები, სკოლის ადმინისტრაციასთან ერთად, განიხილავენ, რა გააუმჯობესოს და როგორ წარმართონ შემდგომი მუშაობა. ასეთი გამოვლინებებს გამუდმებულად აკვირდება მონიტორინგის სამსახური, მიზანი მხოლოდ ისაა, გაიკვივს როგორ ვითარდება პროცესი და, არც ერთ შემთხვევაში, დასჯაზე არ არის ორიენტირებული. სკოლის დირექტორი იღებს შეფასების ვრცელ დოკუმენტს, დასკვნას, როგორ წარმოართა პროცესი. იმისთვის, რომ რაიმე არ დაფაროს და მიიჩქმლოს, ექსპერტები დასკვნას დეტალურად აცნობენ სკოლის კოლექტივს.

## – რა ფუნქცია აკისრია დირექტორს და ვინ იღებს სკოლის შიდა საკითხებზე გადაწყვეტილებას?

– სკოლის დირექტორის მთავარი მოვალეობაა სკოლაში თანამედროვე, მაღალი ხარისხის გაკვეთილი ტარდებოდეს, ეს არის მისი ძირითადი ფუნქცია და ვალდებულება. ამიტომ, პირველ რიგში, დირექტორი პასუხისმგებელია, რომ სკოლა ამას მიაღწიოს. რა თქმა უნდა, ამასთან ერთად, ის ფინანსების სწორ განკარგვაზეც პასუხისმგებელია. დირექტორი წერს, ასევე, პედაგოგების შეფასებას.

დირექტორობის კანდიდატის მიმართ უმთავრესი მოთხოვნა და ვალდებულებაა, რომ მას ჰქონდეს პედაგოგად მუშაობის მრავალწლიანი გამოცდილება იმ ტიპის დანესებულებაში, სადაც დირექტორად სურს მუშაობა. მარტივად რომ ვთქვათ, ჩვენთან დირექტორი ვერ გახდება, თუ მასწავლებლობის მრავალწლიანი გამოცდილება არ გაქვს. ეს იმიტომ არის აუცილებელი პირობა, რომ დირექტორი გაკვეთილის ხარისხს აფასებს და, როგორც მეთოდისტი, მასწავლებლის შეფასებას წერს. თავისთავად, თუკი არ იცის რა ხდება გაკვეთილზე, ამას ვერ გააკეთებს, ვერც ბავშვებთან დაკავშირებულ მნიშვნელოვან გადაწყვეტილებებს მიიღებს სწორად.

## – როგორ მუშაობთ ყველაზე სუსტ მასწავლებლებთან დაბალი პროფესიონალიზმი შეიძლება გახდეს გერმანული მასწავლებლის სკო-

## ლიდან გათავისუფლების საბაზი?

– დავინწყით იმიტომ, რომ ყველა მასწავლებელი საჯარო მოხელეა და ამდენად მას დაცვის მაღალი ხარისხი აქვს, ამიტომ მისი სამსახურიდან გაშვება ძალიან რთულია. მასწავლებელი მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძლება სკოლიდან გააშვოს, თუ ის კანონს არღვევს, მაგალითად, სცემს მოსწავლეს ან არღვევს გეგმით გათვალისწინებულ წესებს - საკლასო წერები და ა.შ. იმ შემთხვევაში, თუ ვიღებ ინფორმაციას, რომ ის გაკვეთილზე ვერ მართავს მოსწავლეებს ან პრობლემები აქვს ხარისხის გაკვეთილის ჩატარებაში, პირველ რიგში, თავად ამ მასწავლებელს ველაპარაკები და ვცდილობ დავადგინო, ეს ნამდვილად ასეა თუ არა. შემდეგ ვარკვევ, მუდმივად ასეთი შედეგები აქვს თუ ეს რაიმე მიზეზით გამოწვეული დროებითი ფაზაა, მაგალითად, ოჯახში აქვს პრობლემები ან სხვ. მიზეზი აუცილებლად უნდა დავადგინო. მაგრამ იმ შემთხვევაში, თუკი მასწავლებელს საგნობრივი პრობლემა აქვს, მას კვალიფიციურ პედაგოგს მივამაგრებ, რომელიც ხელმძღვანელობას გაუწევს. ისინი ვალდებული იქნებიან, ერთად დაგეგმონ გაკვეთილები, რათა ნელ-ნელა გააუმჯობესონ ხარისხი.

## – ეს იმას ნიშნავს, რომ სკოლა თავად ზრუნავს მასწავლებლების პროფესიულ ზრდაზე და, ქართველი პედაგოგების მსგავსად, გამუდმებით არ უწევთ გამოცდების ჩაბარება და სახელმწიფოსთვის კომპეტენციების დადასტურება

– რა თქმა უნდა, მათ უკვე ჩაბარებული აქვთ პირველი და მეორე სახელმწიფო გამოცდა, რაც იმის საფუძველია, რომ უკვე პროფესიონალიზმი არიან. მე თავად ვიბარებ ამ გამოცდებს და ვიცი, როგორი რთული გამოცდებია, რაც იმას ნიშნავს, რომ სკოლაში უკვე კვალიფიციური კადრი შემოვიდა. თუ არის შემთხვევა, როცა მასწავლებელი კლასს ვერ მართავს, მაგრამ საგანში ძალიან კვალიფიციურია, მას ეძლევა შესაძლებლობა, აირჩიოს კოლეგა (ან მე შევთავაზებ), რომელთანაც იმუშაებს. ისინი ერთად გააკეთებენ დაკვირვების ფურცელს და თავს მოუყრიან გაკვეთილის ხელისშემშლელ ფაქტორებს, რომლის გამოსწორებაზეც შემდეგ ისევე ერთად იმუშავენ. საბოლოოდ, ვიდრე რაიმე სერიოზულ ლონისძიებებს გავატარებ, პედაგოგს აუცილებლად დავესწრები რამდენიმე გაკვეთილზე იმიტომ, რომ ერთია, რას ისმენ ან რა ხმები მოდის და მეორეა, თავად რას ხედავ. თავისთავად ცხადია, როცა იცანა, რომ დირექტორი დაესწრე-

პარტნიორი სკოლაში

ბათი გაკვეთილზე, შეიძლება უკეთ დაგეგმონ და უფრო მეტად მოემზადონ, მაგრამ თუ პრობლემა არსებობს, ამას მაინც მიხვდები და დაინახავ, მით უმეტეს, როცა კარგად იცი გაკვეთილი, ვერაფერს ვერაფერს გამოგაპარებს.

რა გზა უნდა გაიაროს გერმანელმა ახალგაზრდამ, თუ მასწავლებლობას გადაწყვეტს? როგორია სკოლაში დამწყები მასწავლებლის მხარდაჭერა და არის თუ არა თქვენთან ახალგაზრდებში ეს პროფესია პოპულარული?

– ვისაც უნდა, რომ მასწავლებელი გახდეს, მან სკოლაში აუცილებლად მაღალი შედეგები უნდა აჩვენოს, დაბალქულიანი სკოლადამთავრებული მასწავლებლის პროფესიაზე ვერ ჩააბარებს. ჩვენთან შეფასების სისტემა 1-დან 6-მდეა, 1 ყველაზე მაღალი შეფასებაა. ჩემი შვილი აბარებდა მასწავლებლის პროფესიაზე და მას 2,5 მაინც უნდა ჰქონოდა შეფასება, რომ მოხვედრილიყო, ამაზე დაბალი შეფასებით უნივერსიტეტი არ მიიღებს.

ჩვენთან, ძირითადად, სახელმწიფო სკოლებია, კერძო ძალიან ცოტაა. როცა ახალგაზრდა უნივერსიტეტს ამთავრებს, მას ორი შესაძლებლობა აქვს – აირჩიოს სახელმწიფო ან კერძო სკოლა, მაგრამ, ყველაზე დიდი შემოთავაზება სახელმწიფო სკოლებიდანაა. იმ შემთხვევაში, თუ ბევრი კადრია და საკმარისი ადგილი არ არის სკოლაში, მათი აყვანა ქულების მიხედვით ხდება. ვაკანტური ადგილების მიხედვით, ვირჩევთ საუკეთესოებს, მაგალითად, თუკი 500 ადგილია, ვირჩევთ მსურველებიდან 500 მაღალქულიან მასწავლებელს. აქედან გამომდინარე, ჩვენს სკოლებში მხოლოდ საუკეთესოები ხვდებიან. როგორც გითხარით, ორი სახელმწიფო გამოცდა უნდა ჩააბარონ, პირველი – თეორიის საკითხებს მოიცავს, ხოლო მეორე გამოცდა სკოლაში გავლილი პრაქტიკის შედეგებს ეთმობა, შემდეგ ეს ყველაფერი ჯამდება, თუმცა საბოლოო ქულაზე პრაქტიკის შედეგები მეტ გავლენას ახდენს.

რა დრო ეთმობა უმაღლესში სწავლის დროს პრაქტიკას?

– სამ-ოთხთვიანი პრაქტიკებია, ანუ სტუდენტები, ერთი სემესტრის განმავლობაში, სკოლაში, ხოლო რეფერენდარიტის დროს, ანუ მეორე ფაზაში – 18 თვე გადის პრაქტიკას, ფაქტობრივად, მუშაობს სკოლაში. ექვსი თვის განმავლობაში, სტუდენტს სკოლაში მენტორი ჰყავს მიმდევრული და მისი დაკვირვებით ატარებს გაკვეთილებს. თუ ამ ხნის განმავლობაში სტუდენტმა კარგი შედეგები აჩვენა, მას საკუთარ კლასს აძლევენ და დამოუკიდებლად ატარებს გაკვეთილებს. წლის ბოლოს კი, ისევე გამოცდებით მოწმდება.

როცა ყველა გამოცდას წარმატებით ჩააბარებს და მასწავლებლობის უფლებას მოიპოვებს, მას მენტორის მეთვალყურეობა აღარ სჭირდება, რადგან უკვე კარგად ჩამოყალიბებული კადრია. ერთადერთი, მას შეიძლება გამოცდილი მასწავლებელი იმისთვის მიამაგრონ, რომ ტექნიკური საკითხები აუხსნას (ესეც სკოლის არეგნია), მაგალითად, როგორ მოიძი-

ოს მასალა (თუმცა, ამას სკოლის პორტფოლიოშიც წაიკითხავს). სხვა მხრივ, დამოუკიდებლად მუშაობს და არანაირი კვალიფიკაციის საკითხი აღარ დგება. დანარჩენი მასწავლებლების მსგავსად, თანაბარი უფლებებით სარგებლობს და მისი ხელფასიც სხვების ტოლია.

როგორია ურთიერთობა მასწავლებელსა და მოსწავლეს შორის?

– დამოკიდებულება აბსოლუტურად პროფესიონალურ დონეზეა, მე თვითონაც მასწავლებელი ვარ (ვასწავლი გეოგრაფიას, ბიოლოგიას, პოლიტიკას, რელიგიას, ისტორიას, სპორტს) და, ჩემს მოსწავლეებთან ერთად, ბერლინშიც ვიყავი ერთკვირიანი ექსკურსიაზე, მაგრამ გარკვეული დისტანცია მაინც არსებობს, რომელიც სულ არ გულისხმობს ჩვენ შორის ხისტ დამოკიდებულებას. ალბათ, თავის მოტყუება იქნება იმის თქმაც, რომ ჩემ მოსწავლეებთან მხოლოდ მეგობრული ვარ, რადგან, რაც უნდა მეგობრული ურთიერთობა დაამყარო, დგება ხანდახან მომენტი, როცა აუცილებლად უნდა იყო პროფესიულ დონეზე, ამიტომაც არ ირღვევა საზღვარი. თუმცა, შენ რომ განსხვავებულ საფეხურზე დგახარ, ეს სულაც არ გამორიცხავს მათთან თბილ დამოკიდებულებას, მე ახლაც ძალიან კარგი ურთიერთობა მაქვს ყოფილ მოსწავლეებთან, ბერლინშიც შევხვდი რამდენიმეს. ასე რომ, მთავარია გულწრფელი და სამართლიანი დამოკიდებულება გქონდეს, მაგრამ ზღვარი არ უნდა გადალახო.

დავუბრუნდეთ ქართულ რეალობას – 43-ე სკოლის მაგალითზე, როგორია თქვენი თვალით დანახული ქართული სკოლა? რა არის ჩვენი ზოგადსაგანმანათლებლო სისტემის ყველაზე დიდი გამოწვევა?

– ქართულ საგანმანათლებლო სისტემას ისე ღრმად არ ვიცნობ, რომ საფუძვლიანი დასკვნები გავაკეთო, მაგრამ გეტყვით იმ თვალმისაცემ განსხვავებებს, რომელიც რამდენიმე გაკვეთილზე დავინახე. მასწავლებლებმა, თანაობა მოსწავლეებთან ერთად, სხვადასხვა პროექტები მოამზადეს და მაჩვენეს. თვალმისაცემი იყო მოსწავლეების copy paste-ები, რაც ჩვენთან არ ხდება. მოსწავლე ყველაფერს დამოუკიდებლად უნდა აკეთებდეს, შეიძლება გამოიყენოს რამე მასალა, მაგრამ აუცილებლად უნდა იგრძობოდეს, რომ ის აზროვნებს, მხოლოდ დაზუპირებული პრეზენტაციები არაფრის მომცემია. ჩვენს სკოლებში ბავშვებს ტექსტებს არ აზუპირებინებენ, რისთვის არის ეს საჭირო? ტექსტი შეიძლება დავიზუპირო, მაგრამ შინაარსი არ ვიცვამ.

საფეხურების სისტემაც განსხვავებულია, საქართველოში – სკოლაში I კლასიდან XII-მდე სწავლობენ. ჩვენთან ცალკეა დაწყებითი სკოლა, შემდეგ მოდის რამდენიმე ტიპის სკოლა, სადაც მოსწავლეები აკადემიური მოსწრების მიხედვით ნაწილდებიან.

დავინახე კიდევ ერთი სხვაობა – წარმოუდგენლად მიმაჩნია გარედან მოსული ადამიანი დაჯდეს და სკოლა მართოს, თან ისე, რომ მასწავლებლად მუშაობის არანაირი გამოცდილება არ ჰქონდეს. ლიდერობა და მენეჯმენტი ის

ორი საკითხია, რომელიც სკოლაში ძალიან წარმატებულად უნდა მიდიოდეს. მენეჯმენტის საკითხებში გარკვეული დონით მასწავლებლებიც არიან ჩართული, განსაკუთრებით დიდ სკოლაში, რადგან, თავისთავად, ერთი ადამიანი დიდ სკოლას ვერ მართავს.

რა არის ლიდერობის ის თანამედროვე მიმდინარეობები, რომელზეც სკოლა აქცენტებს უნდა აკეთებდეს?

– სკოლას მარტო დირექტორი არ მართავს, სასწავლო პროცესში მთელი კოლექტივია ჩართული, ერთად ხდება პრობლემების განხილვა, შემდეგ დაგეგმვა და დავალებების გადახანისება. ყველას თავისი წილი პასუხისმგებლობა ეკისრება, ერთი ადამიანისკენ თითის გაშვება არ ხდება. ლიდერობაც სწორედ ამას გულისხმობს, დირექტორმა, ანუ ლიდერმა უნდა შეძლოს მთელი კოლექტივის „ნამოყვანა“ და შემდეგ დავალებების გადახანისება. მით უმეტეს, როცა ისეთ საუკუნეში ვცხოვრობთ, სადაც ყველაფერი ყოველდღიურად ვითარდება და სადაც საზოგადოების მოთხოვნებიც შესაბამისად იზრდება. ეს პროცესები ვითარდება როგორც გერმანიაში, ისე საქართველოში, ამიტომაც, აბსოლუტურად წარმოუდგენელია, მხოლოდ ერთმა ადამიანმა შეძლოს ამდენი მოთხოვნის დაკმაყოფილება. აქედან გამომდინარე, დგება აუცილებლობა, რომ ფუნქციები და პასუხისმგებლობები სწორად იყოს გადახანისებული და კარგად დაგეგმილი. თავისთავად ცხადია, რომ დირექტორი კარგად უნდა იცნობდეს განათლების სისტემას და სკოლას, ეს აუცილებლად უნდა იყოს. ამიტომ ძალიან მნიშვნელოვანია მართვის ის თანამედროვე სტილი, რომელიც ამ მოთხოვნებსა და საზოგადოების დაკვეთას უპასუხებს.

ეს ყველაფერი, რა თქმა უნდა, საქართველოშიც შეიძლება. თუ გადავხედავთ თქვენი განათლების სისტემას, 90-იანი წლებიდან დღემდე, რასაკვირველია, პროგრესსაც შევამჩნევთ – რასაკვირველია, სისტემა ვითარდება და საზოგადოების მოთხოვნებიც იზრდება სკოლისადმი.

როგორ შეფასებთ გაკვეთილს, რომელსაც დაეწინაურებ?

– მე ვნახე სხვადასხვა ტიპის გაკვეთილები – მოსწავლეზე ორიენტირებული და მასწავლებელზე ორიენტირებული. თუმცა, არ მინდა იმის თქმა, რომ ყველა გაკვეთილი, რომელიც მასწავლებელზეა ორიენტირებული, ცუდია, უბრალოდ, აუცილებლად უნდა იყოს მეთოდების მრავალფეროვნება. ზოგიერთ გაკვეთილზე გამოყენებულია ჯგუფური მუშაობის მეთოდი, მაგრამ უფრო მეტად სჭირდება დახვეწა. ამასთანავე, ვნახე გერმანული გაკვეთილი, სადაც მასწავლებელი თანამედროვე მეთოდებით მუშაობდა და შემიძლია ვთქვა, რომ ჩვენთანაც მსგავსი მეთოდებით ვმუშაობთ.

რატომ დათანხმდით ქალბატონ სოფოს, გაგვეკითხათ გაცვლითი პროექტი 43-ე სკოლისათვის და ახორციელებთ თუ არა მსგავს პროექტებს სხვა ქვეყნებშიც?

– ვიდრე სოფოს გავიცნობდი, მანამდე ამერიკის ერთ-ერთ სკოლასთან მქონდა გაცვლითი პროექტი და მინდოდა, მსგავსი პროექტი სხვა ქვეყანაშიც გამეკეთებინა. სოფოს გაცნობის შემდეგ გადაწყვიტე, რომ ეს ქვეყანა საქართველო იქნებოდა. აქ საუბარი არ არის იმაზე, რას შემოგვთავაზებს განათლების სისტემა, განათლების გარდა საინტერესოა უცხო ქვეყნის კულტურის და ადამიანების გაცნობა. გარდა ამისა, საქართველოსთან მსგავსი პროექტის განხორციელება შედარებით ხელსაყრელი თანხებითაა შესაძლებელი, ეს მნიშვნელოვანია თუნდაც იმ თვალსაზრისით, რომ საშუალო და დაბალი ფენის ოჯახის შვილებმაც შეძლონ პროექტში მონაწილეობა. როცა განსხვავებული კულტურის ადამიანებთან გვაქვს ურთიერთობა, შედარებით დაცულები ვართ ისეთ ნაციონალისტური გამოვლინებებისგან, რაც დღევანდელ სამყაროში აღმოცენდა. ამიტომ ასეთი კონტაქტები ძალიან მნიშვნელოვანია.

როცა საქართველოში პირველად ჩამოვედი, მოხიბლული დავრჩი ადამიანების სითბოთი და ქვეყნის სილამაზით. თბილისის გარდა, ვიყავი ლაგოდეხში. ძალიან მინდა, ჩემს მოსწავლეებსაც გავცნოთ თქვენი ქვეყანა. ასეთი პროექტები სწორედ ამ მიზანს ისახავს და არამხოლოდ საგანმანათლებლო სისტემის გაცნობას. ჩვენი დაინტერესება ისიც არის, რომ სკოლაში გერმანული ენა ისწავლება და გვინდა, უფრო გავდარმოვათ ენის ცოდნა და მოსწავლეებს უფრო მეტად გავუხსნათ გზა, რომ გერმანიაში მიიღონ განათლება ან, თუნდაც, უბრალოდ ნახონ ჩვენი ქვეყანა და მისი განათლების სისტემა, იყვნენ უფრო მეტად ტოლერანტულები, გაცენონ სხვა ქვეყნის კულტურას, რაც მათ თვალსაწიერს კიდევ უფრო გაამდიდრებს.

როგორ ნაწარმოებთ თქვენი სკოლის მოსწავლეებს და მასწავლებლებს ჩვენი ქვეყანა და 43-ე სკოლა, რატომ უნდა გაუჩნდეთ ამ პროექტში მონაწილეობის სურვილი?

– თავისთავად, საქართველო მათ იმ უპირატესობებით გავაცანი, რაც ამ ქვეყანას აქვს. ამაზე უკვე ვისაუბრე, მაგრამ ერთს კიდევ დავამატებ, საქართველო ქრისტიანული ქვეყანაა. ამ პროექტის პირველი უპირატესობა ჩვენი მოსწავლეებისთვის მაინც ის არის, რომ ისინი ევროპის ქვეყნებში ოდესღაც მაინც მოხვდებიან, საქართველოში ჩამოსვლის შანსი კი შეიძლება ნაკლებად ჰქონდეთ. მეც სწორედ ამას ვეუბნები: ამ პროექტით თქვენ გეძლევათ შესაძლებლობა, ნახვიდეთ მართლა განსხვავებულ ქვეყანაში. თუ გინდა, ნახოთ სხვა კულტურისა და სამყაროს ქვეყანა, ეს შესაძლებლობა თქვენ ხელთაა. საქართველოს შესახებ სულ ორი წინა ვნახე, მალორკას შესახებ კი უამრავი გამოცემაა. დარწმუნებული ვარ, იმ წინა არაფერს ნაიკითხავს, უშუალო კონტაქტით კი, თქვენი ქვეყნის და მისი კულტურის გაცნობა საუკეთესო იქნება. მე მათ ვუბნები: თქვენ ნახავთ პატარა, მაგრამ ძალიან თბილი ადამიანებითა და მაღალი კულტურით გარემოცულ ქვეყანას.

ესაუბრა ლალი ჯეილაძე

მასწავლებელთა გამოცდა



2017 წლის საბნის გამოცდის წარმატებით ჩაბარებისთვის ტესტირებაში დასაბრკოლებელი აუსილებელი ქულები:

- ა.ლი კანტაძე, იმისთვის, რომ საბნის გამოცდები ჩაეთვალოს წარმატებით დაძლეულად, უნდა დააგროვოს მაქსიმალური ქულის 60%-ზე მეტი, კერძოდ:
  - ა.ა) ქართულ ენასა და ლიტერატურაში (VII-XII კლასები) – 43 ქულა და მეტი;
  - ა.ბ) მათემატიკაში (VII-XII კლასები) – 32 ქულა და მეტი;
  - ა.გ) გეოგრაფიაში (VII-XII კლასები) – 36 ქულა და მეტი;
  - ა.დ) ბიოლოგიაში (VII-XII კლასები) – 38 ქულა და მეტი;
  - ა.ე) ქიმიაში (VII-XII კლასები) – 43 ქულა და მეტი;
  - ა.ვ) ფიზიკაში (VII-XII კლასები) – 43 ქულა და მეტი;
  - ა.ზ) ისტორიაში (VII-XII კლასები) – 37 ქულა და მეტი;
  - ა.თ) სამოქალაქო განათლებაში (VII-XII კლასები) – 37 ქულა და მეტი;
  - ა.ი) უცხოურ ენაში (I-XII კლასები) – 55 ქულა და მეტი;
  - ა.კ) ქართული, როგორც მეორე ენა (I-XII კლასები) – 58 ქულა და მეტი;
  - ა.ლ) სახვით და გამოყენებით ხელოვნებაში (I-IX კლასები) – 37 ქულა და მეტი;
  - ა.მ) მუსიკაში (I-IX კლასები) – 37 ქულა და მეტი;
  - ა.ნ) სპორტში (I-XII კლასები) – 43 ქულა და მეტი;
  - ა.ო) ქართული ენა და ლიტერატურა, მათემატიკა და ბუნებისმეტყველება (I-IV კლასები) – 49 ქულა და მეტი;
  - ა.პ) ქართული ენასა და ლიტერატურაში (დანყებითი საფეხური – I-VI კლასები) – 40 ქულა და მეტი;
  - ა.ჟ) ბუნებისმეტყველებაში (დანყებითი საფეხური – I-VI კლასები) – 40 ქულა და მეტი;

- ა.რ) მათემატიკაში (დანყებითი საფეხური I-VI კლასები) – 40 ქულა და მეტი;
- ა.ს) ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებში – 43 ქულა და მეტი.
- ბ) ქართული ენა და ლიტერატურა, მათემატიკა და ბუნებისმეტყველების (I-IV კლასები), ბუნებისმეტყველების (I-VI კლასები), ქართული ენისა და ლიტერატურის (I-VI კლასები), მათემატიკის (I-VI კლასები), უცხოური ენების (I-XII კლასები) და ქართულის, როგორც მეორე ენის (I-XII კლასები) ტესტები რამდენიმე ნაწილისაგან შედგება, რომლებშიც აბლიკანტმა იმისათვის, რომ გამოცდა ჩაეთვალოს წარმატებით დაძლეულად, უნდა გამოაღწიოს ბარიერთან (60%-ზე მეტი) ერთად უნდა გადალახოს ტესტის თითოეული ნაწილის ბარიერი ქვემოთ დადგენილი პრინციპის შესაბამისად, კერძოდ:
  - ბ.ა) ქართული ენა და ლიტერატურის, მათემატიკისა და ბუნებისმეტყველების მასწავლებელთათვის (I-IV კლასები) ტესტი შედგება ორი ნაწილისაგან, აქედან ერთ ნაწილში – აკადემიური უნარების ნაწილში – მასწავლებელმა უნდა დააგროვოს მაქსიმალური ქულის (აკადემიური უნარების ნაწილში მაქსიმალური ქულა – 18) 40%-ზე მეტი, ანუ 8 ქულა ან მეტი.
  - ბ.ბ) ბუნებისმეტყველების (დანყებითი საფეხური I-VI კლასები), ქართული ენისა და ლიტერატურის (დანყებითი საფეხური I-VI კლასები), მათემატიკის (დანყებითი საფეხური I-VI კლასები) ტესტები შედგება ორი ნაწილისაგან, აქედან ერთ ნაწილში – აკადემიური უნარების ნაწილში – აბლიკანტმა უნდა დააგროვოს მაქსიმალური ქულის (აკადემიური უნარების

- ნაწილში მაქსიმალური ქულა – 18) 40%-ზე მეტი (ანუ 8 ქულა ან მეტი).
- ბ.გ) უცხოური ენების გამოცდა იყოფა ოთხ ნაწილად, აქედან 4 ნაწილში – ლაპარაკის, წერის, კითხვისა და მოსმენის ნაწილებში მასწავლებელმა უნდა გადალახოს მაქსიმალური ქულის მესამედზე მეტი. კერძოდ, ლაპარაკის ნაწილში მაქსიმალური ქულაა 16 – გამსვლელი 6 და მეტი, წერის ნაწილში მაქსიმალური ქულაა 22 – გამსვლელი 8 და მეტი, მოსმენის ნაწილში მაქსიმალური ქულაა 16 – გამსვლელი 6 და მეტი, ხოლო კითხვის ნაწილში მაქსიმალური ქულა განისაზღვრა 36 ქულით, ხოლო გამსვლელი ქულაა 12 და მეტი.
- ბ.დ) ქართული, როგორც მეორე ენა (I-XII), იყოფა ხუთ ნაწილად. ტესტის თითოეული ნაწილისათვის განსაზღვრულია შიდა ზღვარი მაქსიმალური ქულის 40%-ზე მეტი, კერძოდ, მოსმენის ნაწილში მაქსიმალური ქულაა 11 – გამსვლელი 5 ქულა და მეტი, კითხვის ნაწილში მაქსიმალური ქულა განისაზღვრა 28 ქულით, ხოლო გამსვლელი 12 ქულა და მეტი, წერის ნაწილში მაქსიმალური ქულაა 20 – გამსვლელი 9 ქულა და მეტი, პროფესიული ცოდნის ნაწილში მაქსიმალური ქულაა 25 – გამსვლელი 11 ქულა და მეტი, ხოლო ლაპარაკის ნაწილში მაქსიმალური ქულაა 11, აქედან გამსვლელი 5 ქულა და მეტი.
- ბ.ე) ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების ტესტი შედგება ორი ნაწილისაგან – პროფესიული ცოდნა (წერილობითი) და პრაქტიკული უნარ-ჩვევები (პრაქტიკული), ტესტის თითოეული ნაწილში აბლიკანტმა უნდა დააგროვოს მაქსიმალური ქულის 40% , ანუ 14 ქულა და მეტი.

ქართული სტუდენტები უსსოთში

სა თბილისის თავზე

„თინა: როგორ ფიქრობ, შეძლებდა ადამიანი ამ ზღვის გადაცურვას?

გეგა: თუკი მოინდომებს, შეძლებს ყველაფერს.

თინა: არა, მართლა გეკითხები, მინდა ვიცოდე, აქვს თუ არა ადამიანს იმის უნარი, შავი ზღვა რომ გადაცუროს...

გეგა: მე თუ გავიქეცი, გამოწყვები?

თინა: ცურვა რომ არ ვიცი, გეგა?!

გეგა: არც მე, საკმარისად კარგად, მაგრამ ჩვენ გავფრინდებით. ჩვენ გავიქეცით თვითმფრინავს, რომელიც თბილისიდან ბათუმში მიფრინავს და ამერიკულ სამხედრო ბაზაზე თურქეთში დავსვამთ. ჩვენ ავიტანთ იარაღს ბორბელ და დავაშინებთ პილოტს.

თინა: ეს არის ის, რაც შენ გსურს?

გეგა: მე გავფრინდები, მაგრამ მხოლოდ შენთან ერთად!..“

1983 წლის 18 ნოემბერს, 34 წლის წინ მომხდარი ტრაგიკული ისტორია „თვითმფრინავის ბიჭების“ შესახებ ახალ თაობაშიც არ კარგავს ინტერესსა და აქტუალობას. გერმანიაში მცხოვრებმა ლუდვიგ მაქსიმილიანის უნივერსიტეტის თეატრისმცოდნეობის ფაკულტეტის მეორე კურსის სტუდენტმა, დამწყებმა რეჟისორმა თამო გვენეტაძემ, დათო ტურაშვილის რომანის – „ჯინსების თაობა“ მიხედვით დადგა სპექტაკლი – „ცა თბილისის თავზე“. პრემიერა მიუნხენში, აინშტაინის კულტურის თეატრის სცენაზე გაიმართა. სპექტაკლი გერმანელი, პოლონელი და ქართველი ახალგაზრდა მსახიობები მონაწილეობდნენ. აღსანიშნავია, რომ დათო ტურაშვილის რომანი „ჯინსების თაობა“, ქართულ ენაზე დაბეჭდვის შემდეგ, მსოფლიოს 14 ენაზე ითარგმნა. პირველად „ჯინსების თაობა“ თბილისში, 1999 წელს, თავისუფალ თეატრში, დათო ტურაშვილის რეჟისორობით დაიდგა და სპექტაკლი დღემდე თეატრის რეპერტუარშია.

აინშტაინის კულტურის თეატრის სცენაზე გამართულ სპექტაკლს – „ცა თბილისის თავზე“ ესწრებოდნენ როგორც გერმანელი მსახიობები, ისე მიუნხენში მცხოვრები ქართული დიასპორის წარმომადგენლები, პრემიერაზე მინვეული იყო რომანის ავტორი.

დათო ტურაშვილი: „პირველ რიგში, დიდი მადლობა თქვენს ვაზნებს, რომ დაინტერესდით ამ თემატიკით. მინდა ვისარგებლო შემთხვევით და მადლობა ვუთხრა თამო გვენეტაძეს, ახალგაზრდა ქართველ რეჟისორს, რომელმაც ჩემი წიგნის მიხედვით დადგა სპექტაკლი მიუნხენის აინშტაინის კულტურის თეატრში. ძალიან მიხარია, რომ ახალგაზრდა რეჟისორს არ შეეშინდა სირთულეების და ეს იდეა განახორციელა კიდევ. შარშან, როცა პირველად დამიკავშირდა და მითხრა, რომ ასეთი სურვილი ჰქონდა, იმის უფლებაც მივეცი, ჩემი წიგნის მიხედვით, ინსცენირება თვითონ გაეკეთებინა და ამ პროცესში საერთოდ არ ჩაერეულვარ, რადგან ინტუიციით მივხვდი, უჩემოდაც ყველაფერს კარგად მოაგვარებდა.

საიმოვნებით დავესწარი პრემიერას მიუნხენში და ვფიქრობ, ქართულ თეატრს, თამო გვენეტაძის სახით, კიდევ ერთი ნიჭიერი რეჟისორი შეემატა. ის ძალიან ახალგაზრდაა (მით უმეტეს რეჟისორის პროფესიისთვის) და ყველაფერი წინ აქვს. მინდა, წარმატებული მომავალი ვუსურვო და მჯერა, ასეც იქნება.

სპექტაკლში ქართველი და გერმანელი ახალგაზრდა მსახიობები ერთად მონაწილეობენ და სპექტაკლის მიმართ ინტერესიც დიდია. ამაზე ის პრესკონფერენციაზე მეტყველებს, რომელიც ერთად გვექონდა პრემიერის შემდეგ და აუდიტორიის უამრავ შეკითხვას ვუპასუხეთ (სხვათა შორის, ჩემი გერმანული წიგნის ტირაჟი დამთავრდა სწორედ პრემიერის დღეებში და კიდევ ერთხელ, თავიდან გამოსცემენ „westflugs“ და ამისთვისაც მადლობა თამო გვენეტაძეს).

საერთოდ კი, ისიც უნდა ითქვას, რომ საქართველოს მიმართ, ბევრი მიზეზის გამო, განსაკუთრებული ინტერესია გერმანიაში წელს და გაისად კიდევ უფრო მეტი იქნება, შესაბამისად იმის საშუალებაც მეტი იქნება, რომ გერმანელებს და ევროპელებს უკეთ გავაცნოთ ქართული კულტურა, ჩვენი ისტორია და ლიტერატურა...“

ვინ არის თამო გვენეტაძე, რატომ დაინტერესდა ამ ისტორიით და რა საერთო აქვს იმ ახალგაზრდებთან, როლებიც მის დაბადებამდე 10 წლით ადრე თავისუფლებზე იცნებოდნენ – ამის შესახებ ახალგაზრდა რეჟისორი თავად გვიამბობს.

საოკლიდან უნივერსიტეტამდე

დავიბადე 1993 წელს, დავამთავრე ქუთაისის მე-12 საჯარო სკოლა. მიუხედავად იმისა, რომ სახლში ბევრს არ ვმეცადინებოდი, ყოველთვის კარგი ნიშნები მყავდა. ეს მასწავლებლების დამსახურება იყო, რომლებიც ძალიან კარგად ხსნიდნენ მასალას და მეც მოსმენით ვიმასხოვრებდი. სკოლის გარდა ბევრ კლასგარეშე წრეზე დავდიოდი – ცეკვაზე, ხატვაზე, გიტარაზე, ჩოგბურთზე, გარკვეული პერიოდი „ბარბანზეც“ კი ვუკრავდი. აქედან გამომდინარე, რა გასაკვირია, სახლში მეცადინეობის დრო და თავი სულაც აღარ მქონოდა.

სკოლა ოქროს მედალზე დავამთავრე. ბედნიერი ადამიანი ვარ, რადგან მყავდა არაჩვეულებრივი თანაკლასელები, შესანიშნავი პედაგოგები. კლასის დამრიგებელი თინათინ ქუთათელაძე განსაკუთრებული მასწავლებელია. მისმა მოსწავლეებმა უნდა იცოდნენ, რამხელა საგანძურია თიკოსთან ერთად რუსთაველზე ან ვაჟაზე საუბარი.

სიმართლე გითხრათ, სულ მინდოდა რეჟისორი გავმხდარიყავი, თუმცა ამაზე ხმამაღლა არ ვსაუბრობდი. ერთ დღეს, როდესაც ჩემი ერთ-ერთი საუკეთესო მეგობარი იაგო კვიციანი გამომიხსენებდა, რომ რეჟისორობა უნდოდა, პირველად მაშინ ნამომცდა, რომ მეც რეჟისორობაზე ვოცნებობდი.

სკოლის დამთავრების შემდეგ, საზღვარგარეთ წასვლა მქონდა გადაწყვეტილი, მაგრამ ხომ იცით, საქართველოში როგორც არის. დედა რომ გთხოვს, შეილო, ჯერ ჩაირიცხე და მერე რაც გინდა ის გიქნიაო, ვეღარაფერს ამბობ და გადიხარ ეროვნულ გამოცდებზე. მხოლოდ 70%-იანი გრანტით მოვხვებდი გერმანიის უნივერსიტეტზე. არც მიფიქრია, რომ აზრს შევიცვლიდი და დავრჩებოდი. ამიტომ დავიწყე საბუთების შეგროვება, რაც წამოსასვლელად დამჭირდებოდა. დედას არ სჯეროდა, რომ მე ამას მართლა შეეძლებოდა. კარგად მახსოვს 2012 წლის 11 იანვარი, როცა გერმანიაში გასაფრენად ვემზადებოდი, დედამ მითხრა: არ მჯერა, რომ შენ უცხოეთში სასწავლებლად მიდიხარო. ჩემი მიზანი, სარეჟისორობა ან სადმე ამ მიმართულებით სწავლა იყო. მართალია დიდი ხანი დამჭირდა პირველი ნაბიჯების გადასადგმელად და ნანატრი ოცნების ასახედნად, მაგრამ დღეს, გერმანიაში, ლუდვიგ მაქსიმილიანის უნივერსიტეტში ვსწავლობ. არ მიყვარს იმ გზაზე ფიქრი, რაც აქამდე მოსასვლელად გამოვიარე, ამიტომ რამდენიმე სიტყვით გეტყვით – გზა ჩემს მიზანმდე იყო ცრემლებამდე რთული.

ლუდვიგ მაქსიმილიანის უნივერსიტეტში ვსწავლობ თეატრმცოდნეობაზე, რომელიც კინომცოდნეობის დიდ ნაწილს შეიცავს, რადგან აქამდე ცალკე დისციპლინა კინომცოდნეობა არ ჩამოყალიბებულა. ვესწრები ძალიან ბევრ კინოს კურსსა და სემინარს. რაც შეეხება სწავლის სტილს, ძალიან ბევრი რამ დამოკიდებულია სტუდენტზე.

ახალგაზრდებს, რომლებსაც საზღვარგარეთ ცოდნის გაღრმავებისა და კვალიფიკაციის ამაღლების სურვილი აქვთ, ვურჩევ არავის მოუსმინონ! პირდაპირ უნივერსიტეტთან დაამყარონ კავშირი და იქიდან მიიღონ ინფორმაცია. არ უნდა იფიქრონ, რომ ყველაფერი მარტივად იქნება, იმიტომ რომ ასე ნამდვილად არ არის. რამდენიმე დღის წინ ქართულ მულტფილმს „სოფლის მამწებელი“ ვუყურე: „სოფლის შენებას რა უნდა, რა უნდა...“ და მაშინ მივხვდი, თურმე რა კარგად გამოხატავენ მამალი და მისი გუნდის წევრები ქართულ ხასიათს. აი, ეგ ხასიათი მოიპორონ და ყველაფერი გამოუვათ. შენებას და სიმაღლეზე ასვლას ძალიან ბევრი შრომა სჭირდება, რის გარეშეც მართლა არაფერი გამოვა.

ცა თბილისის თავზე

9 ივნისს, ეს იყო პირველი გერმანულენოვანი პრემიერა, ჩემთვის ძალიან დიდი მოვლენა. მე წელს, 19 ივნისს ნაცვლად, 9-ში მქონდა დაბადების დღე. ეს ისეთი ამბავია, რომელსაც, რომც გინდოდეს, ვერ დაივინყებ. დათოს წიგნში „ჯინსების თაობა“ ამბავი „თვითმფრინავის ბიჭებზე“ იმდენად საინ-



ტერესოდაა გადმოცემული, რომ წაკითხვიდანვე ვფიქრობდი ამ თემაზე ფილმის გადაღებას. მაგრამ იმედი ჯერ მაშინ გამოცრულა ფილმის გადაღებაზე უფლებები ამერიკელებმა რომ იყიდეს და მერე გიგინიევილია დამასწრო. ამის შემდეგ გადაწყვიტე სპექტაკლი დამედეგა, დათოს „ბრძანებით“ თვითონ დავწერე პიესა, რა თქმა უნდა, წიგნის მიხედვით. ჩემი მეგობრის, იესიკა ვაისმანის იდეით სპექტაკლს დავარქვით „ცა თბილისის თავზე“ (ციტატა ჩემი ტექსტიდან). როდესაც ამდენი ლტოლვილი ჰყავს გერმანიას, გინდდება კითხვა, რატომ გარბიან ადამიანები საკუთარი სამშობლოდან? მერე იმაზე ფიქრობ, რომ შენც ისეთივე გამოქცეული ხარ, როგორც სხვები. მართალია, არც თვითმფრინავი გამიტაცია აქ ჩამოსასვლელად და არც ზღვა ვადმომიცურავს, მაგრამ მეც გავიქეცი... ოღონდ ამ გაქცევისას მე არ მოვმკვდარვარ – მე მაშინ გადავრჩი!

იცით, რა არის საოცარი? ხალხი დაიღალა ამდენი პასუხებით. ინსცენირებამაც თუ პასუხები მოგვცა, მაშინ რაღას აქვს აზრი? პუბლიკას უფრო კითხვები სჭირდება და ამიტომ მე ამ სპექტაკლით საზოგადოებას დაუუსვი უამრავი შეკითხვა, რომლებზეც თავად უნდა იპოვონ პასუხები. მაქვს პატივი, იანვარში კიდევ ერთხელ დავდეგა ეს სპექტაკლი იმავე თეატრში.

\*\*\*

სპექტაკლში „ცა თბილისის თავზე“ თამოს საუკეთესო მეგობრები – ლუდვიგ მაქსიმილიანის უნივერსიტეტის და ტექნიკური უნივერსიტეტის სტუდენტები მონაწილეობდნენ: თინას ოურიდიული ფაკულტეტის სტუდენტი ნინო იმნაძე ასრულებდა, გეგა – თეატრმცოდნეობის ფაკულტეტის პირველი კურსის სტუდენტი, გერმანელი ოიშო გოლდბერგი (Yoshi Rabe), სოსოს – ფილოსოფიის ფაკულტეტის სტუდენტი დავით კვარაცხელია, დათოს და კგ-ს აგენტს – გერმანიისტიკის ფაკულტეტის სტუდენტი, პოლონელი ვიქტორ გრდუსჩაკი, მამა თეოდორეს კი – ოთო ლეჟავა, კვების მეცნიერებების ფაკულტეტის სტუდენტი.

სპექტაკლის დადგმაში დიდი წვლილი მიუძღვით ჰაინერ სტოკლეს, Studiobühne-ს საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერსა და მხატვრულ ხელმძღვანელს იური დიეცს და მთელი Studiobühne-ს უფროსს კატრინ კაცუბკოს.

სპექტაკლის შესახებ გერმანულმა გამოცემამ Süddeutsche Zeitung სტატია დაწერა, სადაც თამო აღნიშნავს: „გამტაცებლები, შესაძლოა, ჩემი მეგობრები ყოფილიყვნენ, თუმცა, მსგავს ამბოხში არასოდეს მივიღებდი მონაწილეობას... ჩემთვის სრულიად ნათელია ის, რაც იმ ბიჭებს სურდათ – თავისუფლებისკენ სწრაფვა და განვითარება ჩემი ოცნება იყო. ამ დიდ ტრაგედიაში ვადანაშაულებ კომუნისტურ ეპოქას, რადგან მან ადამიანებს აზროვნებისა და წინსვლის შანსი სრულიად გამოაცალა ხელიდან. ხალხს რომ ახლის კეთება აშინებთ და უკან დახევას ამჯობინებენ, საქართველოში ეს დღემდე იგრძნობა. ძალიან დიდია პატრიარქალური გამოვლინების ფაქტები, თუნდაც კონკრეტული მაგალითის ფარგლებში – დაქორწინება და ქალის სახლში დარჩენა, დიასახლისის სტატუსით, შეზღუდულია და თითქმის გაუქმებული მისი ყველა უფლება. მე ასეთი ქვეყნიდან აუცილებლად უნდა წამოვსულიყავი. ადამიანმა უნდა ისწავლოს განსხვავება სინათლესა და სიბნელეს შორის, თავისუფლებასა და მონობას შორის.“

ნინო იმნაძე, ლუდვიგ მაქსიმილიანის უნივერსიტეტის ოურიდიული ფაკულტეტის მე-4 კურსის სტუდენტი: „ჩემთვის „თვითმფრინავის ბიჭების“ ისტორია ტრაგედიაა, რომელშიც ორივე მხარეს თავისი სიმართლე აქვს. ალბად სწორედ ესაა ამ ისტორიის დღემდე აქტუალობის მიზეზი. თემის მიმართ არაერთგვაროვანი დამოკიდებულება განაპირობებს „თვით-





ქართული სტუდენტები უსსოთში

მფრინავის ბიჭების "ისტორიისადმი მუდმივ ინტერესს. მთავარი იყო, პუბლიკისთვის დაგვეჩვენებინა, როგორ შეიძლება „ბოროტების იმპერიამ“ და მასში არსებულმა უსამართლობამ ლალი და სიცოცხლით სავსე ახალგაზრდები მიიყვანოს თვითმფრინავის გატაცების იდეამდე.

ვიცხოვრებ, როგორც თინამ და არა როგორც ნინომ. ერთხელ, დათოს როლის შემსრულებელმა, ვიქტორ გრდუსჩაკიმ გვითხრა, მგონი ყველაზე მეტად თინა დასაჯეს, ცოცხალი რომ დატოვესო. ჩვენს სპექტაკლში თინაც კვდება ბიჭებთან ერთად. ბოლო სცენაში აფექტში მყოფი თინა, გერმანულთან ერთად, ქართულადაც დასტურის თავის შვილს, რაც ქართველი მამულებლის გულთან ძალიან ახლოს მიდის. ძალიან ბევრი კარგი ადამიანის გაცნობის გარდა, საშუალება მომცა, წლების შემდეგ, მოკლე დროით, ისევ დავბრუნებოდი სცენას და გერმანული მეგობრებისთვის გავვეცნო საქართველო, ჩვენი წვლილი შეგვეტანა, „თვითმფრინავის ბიჭების“ ისტორიით, „ბოროტების იმპერიის“ სისასტიკის უკეთ წარმოჩენაში.

პიესის განხილვა და პირველი რეპეტიციები მშვიდ ფონზე მიმდინარეობდა. ძალიან საინტერესო და სახალისო იყო გერმანული მსახიობებისთვის ქართული ელემენტების ახსნა, რაც მათ თავიანთი გმირების უკეთესად დანახვაში ეხმარებოდათ. ამ მცდელობაში ჩვენც ვცხოვრობდით ამ გმირების ცხოვრებით. თუმცა პრემიერის მოახლოება ყველას ერთნაირად დაგვეტყო. ველავადით თითქმის ყველაფერზე: სპექტაკლში შეცვლილ ყველა ნიუანსზე, როგორ მიიღებდა გერმანული პუბლიკა და განსაკუთრებით ქართული აუდიტორია ჩვენი თვალთ დანახულ ისტორიას. ანონსისა და თრეილერის დადებიდან რამდენიმე დღეში გაიყიდა არა მხოლოდ პრემიერის, არამედ დანარჩენი ორი დღის ყველა ბილეთი. საზოგადოების

ძალიან დიდი ინტერესიდან გამომდინარე, მივხვდით, რომ შეცდომის დაშვების უფლება არ გვქონდა და მაქსიმალურად უნდა დავხარჯულიყავით სპექტაკლის სამივე დღეს. პრემიერის შემდგომი შეფასებებიდან გამომდინარე კი ნათელი გახდა, რომ ჩვენს შრომას უკვალოდ არ ჩაუვლია და მაყურებელამდე მივიდა მესიჯი.

ვიქტორ გრდუსჩაკი, გერმანიისტიკის ფაკულტეტის პოლონელი სტუდენტი – დათოს და კგბ-ს აგენტის როლის შემსრულებელი: „ამ ბიჭების შესახებ აქამდე არაფერი ვიცოდი და ზოგადად, პროექტამდე ბევრი ინფორმაცია საქართველოზეც არ მქონდა. მზადების პერიოდში ბევრი წავიკითხე თვითმფრინავის ბიჭების ისტორიაზე, ვუყურე მათ შესახებ დოკუმენტურ ფილმებს. არა მხოლოდ ბიჭებისა და თინას ისტორიების გაცნობა იყო ჩემი მიზანი, არამედ საქართველოს შესახებაც მიწოდდა მქონდა სათანადო ინფორმაცია. დიდი სიამოვნებით ვიმოგზაურებდი ერთხელ საქართველოში. როდესაც პიესა წავიკითხე, მივხვდი, რომ ეს ის ისტორია იყო, რომელიც ყველა მაყურებლის გულთან ძალიან ახლოს მივიდოდა. სპექტაკლის „ცა თბილისის თავზე“ ნახვის შემდეგ მაყურებელი ვერ იტყვის „აჰ, ეს ხომ დადგმული სპექტაკლია“, რადგან დადგმული არ არის, ეს მართლა მოხდა და ასეთი ადამიანები მართლაც არსებობდნენ.

მე არ მსურდა სცენიდან ვინმეს დამოძღვრა ან დარწმუნება, რომ ის, რაც ამ ახალგაზრდებმა გააკეთეს, სწორი იყო ან არასწორი. მიმაჩნია, რომ რეჟისორის მთავარი ამოცანა ისტორიის მაქსიმალურად ობიექტურად წარმოჩენა იყო, რომ მაყურებელს საკუთარი აზრის ჩამოეყალიბების საშუალება ჰქონოდა. ამ ისტორიამ ბევრი დაამწუხრა, დაასევდიანა, ბევრი გააბრაზა და ბევრიც გაურკვეველობაში დატოვა. ყოველ შემთხვევაში, სპექტაკლის შემდეგ, თეატრი გულგრილს არა-

ვის დაუტოვებია.

გეგა და მისი მეგობრები არც ტერორისტები იყვნენ და არც გმირები. მათ მაშინდელ სისტემაზე გავლენის მოხდენა უნდოდათ, რაც ჩემი აზრით, ძალზე გულუბრყვილო გადაწყვეტილება იყო, სურდათ დემონსტრაციულად დაეტოვებინათ საბჭოთა კავშირი. ფაქტია, რომ გეგა და მისი მეგობრები ეგოისტურად და უპასუხისმგებლოდ მოიქცნენ, რადგან მათ ამ გადაწყვეტილებას, საბოლოო ჯამში, მსხვერპლი მოჰყვა. დარწმუნებული ვარ, ისინი არ იყვნენ ცუდი ადამიანები და არავის მოკვლა არ სურდათ. მე მათ არც ბანდიტებად ვთვლი და არც ტერორისტებად. დარწმუნებული ვარ, ისინი ძალიან ნაწიბუნენ და განიცდიდნენ, რომ მათ ამ საქციელს ადამიანები შეენიერნენ.“

ჰაინერ სტოკლე, Studiobühne-ს წარმომადგენელი: „ჩემი აზრით, „თვითმფრინავის ბიჭების“ ამბავს აქვს ყველაფერი, რაც ერთ კარგ ისტორიას სჭირდება: ფიგურები, რომლებთანაც მაყურებელს თავისი თავის გაიგივება შეუძლია, დიდი ძალა, რომლის წინააღმდეგაც ადამიანების ერთი პატარა ჯგუფი ცდილობს გამკლავებას და ტრაგიკული დასასრული, რომელიც მათ ლეგენდად აქცევს.

მაგრამ ნამდვილი მიზეზი ამ სპექტაკლის წარმატებისა, არის ის, რომ ყველა „დიდ“ ტრაგედიაზე (სახელმწიფოს დონეზე) უბრალო ადამიანების ცხოვრებაზე დაყრდნობით. თვითმფრინავის ბიჭების ისტორია ერთადერთი არ არის, რომელიც საბჭოთა კავშირში მოხდა.

რას ნიშნავს იყო გმირი? ან რას ნიშნავს იყო ტერორისტი? რას ეწოდება დანაშაული? რა არის განაჩენი? რა მიგვაჩნია სწორად ან არასწორად? ადამიანები, რომლებიც თავისი უფლებაზე ოცნებისთვის დახვრიტეს, არიან გმირები? შესაძლოა. ადამიანები, რომლებმაც თვითმფრინავი გაიტაცეს არიან ტერორისტები? შესაძლოა. ან იქნებ „თვითმფრინავის ბიჭების“, იმ ახალგაზრდებს რამე ისეთი გაკეთება სურდათ, რომლის გამოც ყველაფერი შეიცვლებოდა. ამ ყველაფრის ჩატევა ორ ძალიან ემოციურ სიტყვაში – გმირი თუ ტერორისტი – სწორად არ მიმაჩნია.

რაც შეეხება თამო გვენეტაძეს, ის განსაკუთრებული ახალგაზრდა ქალია. ახალგაზრდა რეჟისორებს, თავდაჯერებულობის ნაკლებობის გამო, ახასიათებთ გადაჭარბებული, ხელოვნური „პროფესიონალიზმით“ თავის წარმოჩენა. თამომ თუკი რამე არ იცის, ეკითხება მას, ვინც ეს იცის. შეიძლება უცნაურად ჟღერს, მაგრამ ამ ნაბიჯს ბევრი ვერ დგამს.

გარდა ამისა, თამოს აქვს განსაკუთრებული ქარიზმა, რომელიც მე ჯერ არც ერთ სხვა ადამიანში არ მინახავს. არის მშვიდი, მაგრამ მასში რაღაც ყვირის, ამავედროულად, მეოცნებეა. პირველი გრძელი დიალოგის შემდეგ თამოსთან, ვიცოდი, რომ ყველაფერს გავაკეთებდი, მისი ინსცენირების დასახმარებლად. იმავეს იტყოდნენ Studiobühne-ს სხვა თანამშრომლები. ვამაყობ, რომ შემოიღია მას მეგობარი ფუნოლო.“

მანა ყიფინაძე



სასკოლო აქტივობა

სწავლება თაგაშით ანუ მათ, ვისაც ინტელექტუალური გამოწვევა უყვარს! მეთოდური მითითებები ისტორიის მასწავლებლებსათვის

ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით, სწავლა-სწავლების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ამოცანა მოსწავლეთა შემოქმედებითი და კრიტიკული აზროვნების განვითარებაა. მოსწავლემ უნდა შეძლოს ისტორიული მიზეზების ახსნა და მისი შედეგების გაანალიზება, ისტორიული პროცესის სხვადასხვა კუთხით დანახვა, ისტორიულ მოვლენათა შეფასება; ასევე პიროვნებაზე განსხვავებული ინტერპრეტაციების არსებობის დადგენა, განსხვავებული ახსნა-განმარტებების შედარება და შეფასება; ისტორიული ეპოქის აღქმა, ისტორიული ეპოქის აღწერა, მოვლენების დანახვა იმ პერიოდში მცხოვრები ადამიანის თვალთ, წარსულში მომხდარი მოვლენების შეფასება არა მხოლოდ დღევანდელი გადასახედით, არამედ იმ ეპოქის ფასეულობებისა და შეხედულებების გათვალისწინებით. ყოველივე ზემოჩამოთვლილს კი, სჭირდება ისტორიული კონტექსტის ცოდნა და სწორედ ამ ცოდნის გააქტიურებისა და შეჯამების მიზნით, საჭიროა, შევექმნათ რესურსი – თამაშ-გაკვეთილი, რომელსაც სახალისო ფორმა უნდა მიეცეთ და სემესტრის ბოლოს ჩავატაროთ. თამაშით სწავლებას პედაგოგიკაში დიდი მნიშვნელობა ენიჭება, ამ დროს მოსწავლე მეტი ინტერესით ერთვება გაკვეთილის მსვლელობაში. უჩნდება მოტივაცია, უფრო ადვილად და ხალისით სწავლობს. ისტორიის სწავლება არ უნდა ეყრდნობოდეს მხოლოდ სახელმძღვანელოს. ბავშვებმა უნდა გააცნობიერონ, რომ ისტორია, თავის დროზე, ცოცხალი პროცესი იყო, რომელიც თაობებს გამოივლიდა და გავლენას ახდენდა ანმყოფსა და წარსულზე. ამ მიზნით, მე-7, მე-8, მე-10 კლასების მონაწილეობით გამართულ თამაშ-გაკვეთილს (მოსწავლეთა შეთანხმებით), პირობითად, ცნობილი სათაური – „რა, სად, როდის“ დავარქვით. დავალები რამდენიმე აქტივობას მოიცავდა:

- 1. გუნდის წარდგენა, მისასალმებელი სიტყვა, ანუ გუნდის სახელწოდების ახსნა, თუ რატომ დაირქვა გუნდმა ესა თუ ის სახელი;
- 2. 10-წუთიანი შემოქმედებითი ტური, მინი-სცენარი (რა თქმა უნდა, ისტორიულ თემატიკასთან დაკავშირებული);
- 3. ზოგადი ხასიათის 12 სააზროვნო ლოგიკური შეკითხვა;
- 4. 12 საპროგრამო ბლიც-კითხვა გუნდის კაპიტნისთვის;
- 5. სააზროვნო კითხვა, ე.წ. „შავი ყუთი“;
- 6. კარიკატურის ამოცნობა (კარიკატურა მეტად ორიგინალური პირველადი წყაროა და თავისთავად ინტრიგის ელემენტებსაც შეიცავს, იგი სხარტად და მახვილგონივრულად გამოხატავს ეპოქის ისტორიული მოვლენის არსს).

ფინალში გადადის ყველაზე მაღალი ქულის მქონე 2 ჯგუფი. თამაში სამ დღეს გრძელდება. პირველ დღეს მეშვიდე კლასელები მონაწილეობენ, მეორე დღეს – მერვეკლასელები, მესამე დღეს კი – მეათეკლასელები. მანამდე კი, მოსამზადებელი პროცესი უძღვის წინ – კონსულტაციები, თამაშის წესების შემუშავება, საკითხავი ლიტერატურის გაცნობა და თამაშის სიმულაციების დადგმა. ფინალიც იმავე ფორმატით ტარდება და გამოვლენდება მე-7, მე-8 და მე-10 კლასებიდან (სათითაოდ) ერთი გამარჯვებული გუნდი, რომლისთვის სასწავლო-შემეცნებითი გასვლითი ექსკურსია დაიგეგმება.

აღსანიშნავია, ასევე, მოსწავლეების შემოქმედებითი უნარი, რომელსაც ბავშვები თავიანთი გუნდების წარმოსადგენ, ანუ მისასალმებელ ნომერსა და შემოქმედებით ტურში ამჟღავნებენ. შეჯიბრს ესწრება ფიურცი, რომელიც გუნდს აფასებს. თამაშ-გაკვეთილის მიზანი ახალგაზრდებში გუნდური მუშაობის და ჯანსაღი კონკურენციის პირობებში სწორი ქმედებების გამომუშავებაა. შერჩეული კარიკატურები, დასმული კითხვები მოსწავლეებს კრიტიკული აზროვნების უნარს უღვივებს. ამგვარი დიდაქტიური თამაშების გამოყენება მოსწავლეებს ხალისს მატებს და ხელს უწყობს იმ ცოდნისა და უნარების ფორმირებას, რომელთა განვითარება ჰქონდა განზრახული მასწავლებელს სასწავლო გეგმის მიხედვით და რომლებიც მეტად მნიშვნელოვანია საგაკვეთილო სივრცის გარეთაც, პრაქტიკულ ცხოვრებაში.

დინან არჯვანიძე

ვლადიმერ კომაროვის თბილისის ფიზიკა-მათემატიკის 199-ე საჯარო სკოლის ისტორიის მასწავლებელი

გამოყენებული ლიტერატურა:

- 1. <http://mastsavlebeli.ge/?p=14238> ლევან ახვლედიანი, სასწავლო სტრატეგიების გამოყენება ისტორიის სწავლებაში;
- 2. <http://mastsavlebeli.ge/?p=12777> მია ფირჩხაძე, ეროვნული სასწავლო გეგმის მთავარი მეთოდური ორიენტირები ისტორიის სწავლებაში.

ხელოვნება კომაროვის სკოლაში

ჩვენი სკოლა, კომაროვის სახელით ცნობილი, ნიჭიერი ბავშვებით გამოირჩევა. მათი ნიჭიერება მარტო ფიზიკა-მათემატიკით არ ვლინდება, მათ გონიერებას დიდი ასპარეზი აქვს – მრავალმხრივია მათი შესაძლებლობები ხელოვნებაში. ამიტომ ტრადიციადაც კი იქცა ჰუმანიტარული საგნების პედაგოგების მიერ საინტერესო ღონისძიებების მოწყობა. ხშირად იმართება შეხვედრები პოეტებთან და მწერლებთან. ჩვენი სტუმარები იყვნენ მწერალთა კავშირის თავმჯდომარე, პოეტი მაყვალა გონაშვილი, მისი თანათავმჯდომარე თემურ ჩალაბაშვილი, პოეტები: ერეკლე სალიანი, მირიან ფალიანი, ლალი აფშილავა და სხვები. ისინი აღფრთოვანებას ვერ მალავენ, როდესაც ისმენენ ჩვენი ბავშვების მიერ ნაკითხულ ლექსებს. შემდეგ კი საინტერესო რჩევა-დარიგებებს აძლევენ. აგრეთვე ხშირი სტუმრები არიან ცნობილი მომღერლები და კომპოზიტორები: ზურაბ ჩინჩალაძე, ნიკა ადამია, ზურაბ კობეშვიძე, ბესო კალანდაძე (ჩვენი სკოლის ყოფილი მოსწავლე), პაროდისტი ბიძინა მახარაძე (ჩვენი სკოლის კურსდამთავრებული).

19 მაისს სკოლას ესტუმრა კომპოზიტორი ვაჟა აზარაშვილი, რომლის ახალი ნაწარმოები „ღამის სერენადა“ ჩვენმა მოსწავლემ შეასრულა. აღფრთოვანებულმა კომპოზიტორმა განაცხადა: კომაროვის სკოლას დაუმატეთ „სახელოვნებო“ სკოლის სტატუსიო.

საინტერესო იყო კომაროველ მოსწავლეთა ნახატების გამოფენა, რომელსაც ესწრებოდა მხატვარი, მწერალი, საზოგადო მოღვაწე, პარიზის სამხატვრო აკადემიის წევრი, ბატონი ვაჟა ადამია. მან შეაქო ბავშვები და მხატვრობაში წარმატებები უსურვა; პოეზიის მოყვარულებმა ტიციან ტაბიძის პოეზიის საღამო გამართეს, რომელსაც ესწრებოდნენ: თემურ ჩალაბაშვილი, ანწისხატის ტაძრის წინამძღვარი, დეკანოზი რევაზ ტომარაძე, მწერლები და პოეტები; აკაკი წერეთლის საიუბილეო საღამოზე, ლექსების გარდა, ბავშვებმა სტუმრებს აჩვენეს ვიდეოჩანახატი, რომელიც ასახავდა მათ სტუმრობას პანთეონში, სადაც აკაკის საფლავთან მისი ლექსები წაიკითხეს.

წამონათვალი რომ არ გავაგრძელო, ზოგადად ვიტყვი, რომ ჩვენი სკოლის ყველა კურსდამთავრებული როდი მიუყვება მეცნიერების ან ბიზნესის გზას, ბევრი მათგანი სწორედ ხელოვნებაშია წარმატებული, რაც განსაკუთრებით გვეამაყება.

რამზა ბოჭორველი

მუსიკისა და ხელოვნების მასწავლებელი

სასკოლო აქტივობა

# საინტერესო და საჭირო გაკვეთილები სასწავლო-აღმზრდელოებით დაწესებულებებში

„ერის პირველი დამხობა, გათახსირება, განყალბა იქიდან იწყება, როცა იგი თავისას ისტორიას ივიწყებს, როცა მას ხსოვნა ეკარგება თავისის წარსულისა თავისის ყოფილის ცხოვრებისა... წარსული – მკვიდრი საძირკველია ანშოსის, როგორც ანშო – მომავლისა... ამიტომაც არის ნათქვამი ერთის ბრძენისაგან, რომ ანშო, შობილი წარსულისაგან, არის მშობელი მერმისისა...“ – ჩვენი ერის დიდი მოჭირახულის, ილია ჭავჭავაძის ეს სიტყვები გასდევდა ლაიტმოტივად, 7 ივნისს, სსიპ ოტია იოსელიანის სახელობის ქალაქ წყალტუბოს №1 საჯარო სკოლის VIII კლასში (კლასის ხელმძღვანელი – ფიქრია გიორგენიძე) სამოდლო გაკვეთილს ქართულ ენასა და ლიტერატურაში, რომელიც დირექტორმა ფაქიზო ფანჩულიძემ-კუჭავამ ჩაატარა.

გაკვეთილი ინტერაქტიული იყო საქართველოს ისტორიასთან, თემა გახლდათ აკაკი წერეთლის „ბაში-აჩუკი“. მასწავლებელს მიზნად ჰქონდა დასახული, რომ მოსწავლეებს, მხატვრული ტექსტის გაანალიზებითა და ისტორიულ წყაროებზე დაყრდნობით, ემსჯელათ პიროვნების ეროვნულ თვითშეგნებაზე, თემა შეეფასებინათ და დაეკავშირებინათ თანამედროვეობასთან. ტრადიციული საორგანიზაციო საკითხების შემდეგ, გაკვეთილი დაიწყო კადრების ჩვენებით მხატვრული ფილმიდან „ბაში-აჩუკი“.

მოსწავლეთა აბსოლუტური უმრავლესობა ამომწურავად პასუხობდა პედაგოგის მიერ დასმულ შეკითხვებს. მათ დაწვრილებით ისაუბრეს ჩვენი ქვეყნის იმდროინდელ ავბედით მდგომარეობაზე და განმარტეს, რომ ამ მოთხრობით აკაკიმ თანადროული ყოფა მე-17 საუკუნეში გადაიტანა და ცდილობდა მიძინებული ეროვნული თვითშეგნების გაღვივებას.

გაკვეთილის ორგანიზების ფორმა იყო ჯგუფური. ოთხივე ჯგუფმა, როლური გათამაშებით, წარმოადგინა მათზე განაწილებული თემები. მოსწავლეებმა, ტექსტში მხატვრული ხერხებისა და ენობრივი მახასიათებლების ამოცნობის მიზნით, დარიგებული აქტივობის ბარათებზე შეასრულეს დავალებები, ტექსტიდან გამომდინარე, შეძ-

ლეს საკუთარი მოსაზრებების გამოთქმა. მათი მსჯელობა იყო არგუმენტირებული და კარგად დაკავშირებული დღევანდელობასთან. აქედან გამომდინარე, პედაგოგმა საშინაო დავალებად მისცა თხზულება – „რას ნიშნავს ჩემთვის საქართველოს თავისუფლება“. დავალების მიზანი იყო აღსაზრდელთა მიერ, ენობრივ-გრამატიკული სტრუქტურებისა და ხერხების გამოყენებით, საკუთარი თვალსაზრისის ჩამოყალიბება.

სამოდლო გაკვეთილი დადებითად შეაფასა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის ტრენერ-კონსულტანტმა, შორენა ტყემლაძემ. საინტერესო ღონისძიებისთვის პედაგოგებს, მოსწავლეებსა და დამსწრე საზოგადოებას მადლობა გადაუხადა წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ, პაატა ახალაძემ.

სამოდლო გაკვეთილების ციკლის ერთგვარი გაგრძელება გახლდათ, 9 ივნისს, ოტია იოსელიანის სახლ-მუზეუმში, ამავე სკოლის VI კლასის მოსწავლეთათვის (კლასის ხელმძღვანელი – ნატო ჯონაძე), შემაჯამებელი გაკვეთილი, რომელიც კვლავ ქალბატონმა ფაქიზომ ჩაატარა. ღონისძიება ჩვენი სასიკადალო მამულიშვილის, ოტია იოსელიანის დაბადების 87-ე წლისთავს მიეძღვნა.

ქართული ლიტერატურის სწავლების პროცესში განსაკუთრებული როლი ენიჭება ასეთ ვითარებაში ჩატარებულ გაკვეთილს, რადგან აღსაზრდელებს ნათელი წარმოდგენა შეეძენათ მწერლის ცხოვრება-შემოქმედებაზე, მისი ნაზრევის ძირითად პრობლემატიკაზე, როლსა და მნიშვნელობაზე, მხატვრულ-შემოქმედებით მეთოდებზე. გაკვეთილის მთავარი მიზანი იყო მოსწავლეთათვის ბატონი ოტიას ცხოვრებისა და შემოქმედების სტილის უფრო ახლოს გაცნობა. მოსწავლეებმა ქრონოლოგიურად გაგვახსენეს ის შემოქმედებითი გზა, რომელიც ღირსეულად განვლო სახელოვანმა მწერალმა.

შემაჯამებელი გაკვეთილი იმ ვიდეომასალის ჩვენებით დაიწყო, სადაც ბატონი ოტია მიმართავს ახალგაზრდობას. დამსწრე საზოგადოების დიდი მონონება დაიმსახურა ერთ-



ერთმა აქტივობამ, როცა გოგონებმა და ბიჭუნებმა, ქართული ანბანის თანმიმდევრობის დაცვით, წარმოადგინეს ოტია იოსელიანის ბრძნული გამონათქვამები, იგავ-არაკები, ლექსები, თვალსაჩინოება სახელწოდებით – „ოტია იოსელიანის ხე სიბრძნისა“, რომელმაც ამ დღიდან სახლ-მუზეუმის ექსპონატთა შორის დაიდო ბინა. შემაჯამებელი გაკვეთილის აპოგეა იყო მწერლის მიერ სპეციალურად მისი მშობლიური სკოლისათვის დანერგული ჰიმნი, რომელიც მოსწავლეებმა, პედაგოგთან, ფაქიზო ფანჩულიძესთან ერთად შეასრულეს.

ღონისძიება შეაფასეს: სსიპ ოტია იოსელიანის სახელობის ქალაქ წყალტუბოს №1 საჯარო სკოლის დირექტორის მოადგილემ, დალი სილაგაძემ; ქართული ენისა და ლიტერატურის კათედრის ხელმძღვანელმა, დოდო ხაჩიძემ; წმინდა გაბრიელ ეპისკოპოსის სახელობის სასულიერო გიმნაზიის სასწავლო ნაწილის გამგემ, მაია ონიანმა, ამავე გიმნაზიის პედაგოგმა, ელისო გურუშვიდემ; სკოლის ფასილიტატორმა, იამზე წულუკიძემ; მწერლის ვაჟმა, დარი იოსელიანმა; ქალბატონებმა – ციალა ღვინიაძემ და იაკუხალაშვილმა.

სასწავლო წლის დასასრულს ქალბატონი ფაქიზის მიერ ჩატარებულმა ამ ორმა საინტერესო გაკვეთილმა გვიჩვენა, რომ შემოქმედმა პედაგოგმა მიზანს მიაღწია. მიზანი კი ქვეყნის წარსულისადმი, წინაპრებისადმი და მომავლის წინაშე პასუხისმგებლური დამოკიდებულებაა.

ოზარ ჭუმბურიძე



## ინფორმაცია

### არხილოსკალოს ღია არენაზე გალა-კონცერტი გაიმართა

მსოფლიოს ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღეს დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელ არხილოსკალოში ღია არენაზე გაიმართა გალა-კონცერტი, რომელშიც მონაწილეობდნენ არხილოსკალოს საჯარო სკოლის მოსწავლეები, ასევე დედოფლისწყაროს კულტურის სახლთან არსებული ბავშვთა ხელოვნების სტუდია „არლექინოს“ პატარა აღსაზრდელები (ხელმძღვანელი – ნინო ლოლაშვილი და მეგე ყაჭაშვილი), სამეჯლისო ცეკვების ანსამბლი (ხელმძღვანელი – ზვირა ალადაშვილი), სოფელ სამთაწყაროს მედოლე ბიჭუნებისა და ქორეოგრაფიული ანსამბლი (ხელმძღვანელი – ნოდარ შანიძე), დედოფლისწყაროს ქორეოგრაფიული ანსამბლი „შირაქი“ და ქედების ზონის ქორეოგრაფიული ანსამბლი (სამხატვრო ხელმძღვანელი – ალექსი გაბრიელაშვილი). მასპინძელი ბავშვები მრავალფეროვანი პროგრამით წარდგინეს მაყურებლის წინაშე, თითოეულ ნომერს ხანგრძლივი აპლოდისმენტები და ბრავოს შეძახილები სდევდა თან. შემდეგ კი სცენა ჩასულ ბავშვებს დაეთმო.

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის კულტურისა და ძეგლთა დაცვის ცენტრის დირექტორმა, მრავალმხრივი ნიჭით დაჯილდოებულმა ქალბატონმა, ნო-

ნა ჯიბლაშვილმა წინიშობის დღესასწაული და ბავშვთა დაცვის დღე მიულოცა პატარებს და ბედნიერი მომავალი უსურვა. ასევე თბილი სიტყვებით მიმართეს მომავალ თაობას მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ ნუგზარ პაპიაშვილმა, გამგებელმა ნიკოლოზ ჯანიაშვილმა და გემგებლის რწმუნებულმა სოფელ არხილოსკალოში გორა კობაიძემ.

მიუხედავად იმისა, რომ გალა-კონცერტი დიდხანს გაგრძელდა, მაყურებელი კი არ მოდუნდა, პირიქით ყველას მზერაში სიხარულის ნაპერწკალი კიაფობდა.

„კიდევ ერთი ღამე დღე ჩაინერა არხილოსკალოს საჯარო სკოლის ისტორიაში“ – აღნიშნა სკოლის დირექტორმა მაია სიმონიძემ და განსაკუთრებულ მადლობა გადაუხადა ქალბატონ ნინა ჯიბლაშვილს, თავის მოსწავლეებსა და მთელ სოფელს დედოფლისწყაროელი პატარა ვირტუოზების შემოქმედება რომ გააცნო.

სტუმრებიც და მასპინძლებიც ისე დაახლოვდნენ, რომ ერთმანეთის დათმობა, თვალზე ცრემლმორეულებს, ეძნელებოდათ.

მარიკა პოპიაშვილი

### ტრენინგი პროვაიდერი კომპანიებისთვის

საჯარო სკოლების კვების ობიექტების პროვაიდერი კომპანიების წარმომადგენელთა გადამზადების პროექტი დაიწყო. ახალი პროექტის ფარგლებში, მიმდინარე წლის ბოლომდე, გადამზადდება ყველა საჯარო სკოლის ყველა ბიზნესოპერატორი, ანუ პირები, რომლებიც პასუხისმგებელი არიან სკოლებში მოსწავლეთა ჯანსაღ კვებაზე.

პროფესიული კოლეჯის „იკაროსი“ ბაზაზე, უკვე დაიწყო პირველი, 15-კაციანი, ჯგუფის გადამზადება. მონაწილეებს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის პირველი მოადგილე ქეთევან ნატრიაშვილი შეხვდა.

ტრენინგის ფარგლებში, კოლეჯის პედაგოგები ჯგუფის წევრებს გააცნობენ ჯანსაღი კვების პრინციპებს და აუცილებლად გასათვალისწინებელ სანიტარულ ნორმებს, ასევე როგორ შეინახონ პროდუქტები და როგორ მომზადდეს საკვები ისე, რომ არ დაკარგოს ჯანსაღი თვისებები. მონაწილეები, ასევე, გაეცნობიან სასკოლო მენიუს შედგენას. თავად მსმენელებს მოეთხოვებათ, იზრუნონ მენიუს გამდიდრებაზე, მრავალფეროვან არჩევანზე, ჯანსაღი საკვების მომზადების ახალ რეცეპტებზე. პროვაიდერმა უნდა იზრუნოს პროდუქტის იმ სახით მიწოდებაზე (იგულისხმება შეფუთვა, დიზაინი), რომ ბავშვისთვის მიმზიდველი იყოს ხილი, ბოსტნეული, ის ჯანსაღი პროდუქტი, რომელსაც ბავშვები, ძირითადად, არ ეტანებიან.

განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო გადამზადებას უფასოდ სთავაზობს სასკოლო კვების პროვაიდერ ყველა კომპანიას.

სპორტი

# ბაღმინტონს საფრანგეთში ითამაშებენ

საფრანგეთის ქალაქ კლერმონ-ფერანში მიმდინარეობს ევროპის სასკოლო ჩემპიონატი ბაღმინტონში, რომელშიც საქართველოდან ქვეყნის სასკოლო სპორტული ოლიმპიადის შარშანდელი გამარჯვებული, თბილისის 98-ე საჯარო სკოლის გუნდი თამაშობს. საფრანგეთში გამგზავრების წინ მოსწავლეები საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროში მიიღეს მინისტრმა, ტარიელ ხეჩიკაშვილმა და მისმა მოადგილემ, შალვა გოგოლაძემ.

ეს ჩემპიონატი წლეულს პირველად ტარდება, საერთაშორისო სასკოლო სპორტის ფედერაციისა და საფრანგეთის შესაბამისი სასკოლო ფედერაციის ერთობლივი ძალისხმევით. პირველ ჩემპიონატში ევროპის 16 ქვეყნის 24 სკოლის გუნდი მონაწილეობს, გოგონებიც და ბიჭებიც, დაახლოებით 200-მდე მოსწავლე. მონაწილეთა შორის არიან: საფრანგეთი, შოტლანდია, ბულგარეთი, შვედეთი, ლატვია, საბერძნეთი, გერმანია, რუსეთი, ხორვატია, სომხეთი და სხვები.

მოსწავლეები, თამაშის გარდა, არაფორმალურ ვორკშოპშიც მიიღებენ მონაწილეობას, რომელსაც საერთაშორისო სასკოლო ფედერაცია ატარებს და რომელსაც ახალგაზრდა მოხალისეები გაუძღვებიან.

კენჭისყრით ჩვენები B ჯგუფში მოხვდნენ, სადაც, მათთან ერთად, ითამაშებენ ლატვიის, საფრანგეთის, შოტლანდიის, სლოვაკეთის, ჩეხეთისა და ხორვატიის გუნდები.



## ზონალური ტურის დასრულდა

დასრულდა სასკოლო სპორტული ოლიმპიადის პროგრამით გათვალისწინებული ზონალური შეჯიბრებები როგორც აღმოსავლეთ, ისე დასავლეთ საქართველოში.

აღმოსავლეთში დარჩენილი იყო დასკვნითი შეხვედრები მინი-ფეხბურთში, 3X3 კალათბურთსა და გეზრბენში, რასაც თბილისში უმასპინძლა. სათამაშო სახეობებში შეჯიბრებები ოლიმპიურ სასახლეში ჩატარდა, სადაც აღმოსავლეთ საქართველოს რეგიონის წარმომადგენელი გუნდები შეიკრიბნენ. კალათბურთში თელაველებმა იმარჯვეს – გოგონებშიც და ბიჭებშიც ჩემპიონობა №1 საჯარო სკოლის გუნდებმა მოიპოვეს. კალათბურთისგან განსხვავებით, მინი-ფეხბურთში ასპარეზობა მხოლოდ ვაჟებში ჩატარდა და აქ ყველაზე მარჯვენი თბილისის 149-ე საჯარო სკოლის მოსწავლეები აღმოჩნდნენ, რომლებმაც 25-27 ივნისს ქუთაისში გასამართავ ფინალურ შეხვედრაში მონაწილეობის უფლება მოიპოვეს, სადაც ზუგდიდის №6 საჯარო სკოლის გუნდს გაეჯიბრებინა.

გეზრბენში, ანუ კროსში შეჯიბრებას ლისის ტბამ უმასპინძლა, სადაც ასევე მონაწილეობდნენ საუკეთესო მორბენლები თბილისიდან, შიდა და ქვემო ქართლიდან, მცხეთა-მთიანეთიდან, კახეთიდან და სამცხე-ჯავახეთიდან. ამ სახეობაში ქუთაისის საგზური ბიჭებში თბილისის №121, ხოლო გოგონებში ახალციხის №3 საჯარო სკოლების გუნდებმა დაისაკუთრეს.

დასავლეთ საქართველოში ჩემპიონები ხელბურთელთა შორის იყვნენ გამოსავლენი და კვირას ესეც გაიკვავა წყალტუბოში, სადაც იმერეთის, სამეგრელო-ზემო სვანეთის, რაჭა-ლეჩხუმი-ქვემო სვანეთის, აჭარისა და გურიის ჩემპიონი გუნდები შეიკრიბნენ. გოგონებში სამეგრელო-ზემო სვანეთის ჩემპიონმა გუნდმა გაიმარჯვა – ფოთის №2 სკოლამ, ხოლო ბიჭებში მასპინძელთა კოლექტივმა, წყალტუბოს №4 საჯარო სკოლამ იყოჩაღა.

## საქართველომ ყველა გააოცა

სამი კვირის განმავლობაში, საქართველომ, არსებობის ისტორიაში ყველაზე მაღალი რანგის სარაგბო ტურნირს უმასპინძლა – მსოფლიო ჩემპიონატს 20-წლამდელთა შორის. შეჯიბრებები ქვეყნის ორ ტრადიციულ სარაგბო ქალაქში – თბილისსა და ქუთაისში ჩატარდა. იმერეთში ერთი ჯგუფის შეხვედრები გაიმართა, რომელსაც რაგბის უძველესმა მექამ – „აია-არენამ“ უმასპინძლა, თბილისში კი სარაგბო ცენტრი ავჭალის სტადიონი და „მიხეილ მესხის“ არენა გახდა.

თამამად შეიძლება ითქვას, რომ საქართველომ ღირსეულად უმასპინძლა ამ ჩემპიონატს და სტუმართა მხრიდან არაერთი სამადლობელიც გაისმა. მართალია, იყო ცალკეული ხარვეზები; მაგალითად, თბილისში ინგლისის უელსის შესხვედრისას სტადიონზე რამდენიმე წუთით სინათლე გაითიშა, ქუთაისში სტადიონის მიმდებარე ტერიტორიის კეთილმოწყობლობა ადგილობრივმა ოპოზიციამ გააპროტესტა, თუმცა ამას საერთო სურათზე არ უმოქმედია და სტუმართა შეფასება ამ, ჯერ კიდევ დაუსრულებელ, ტურნირზე ერთნიშნაა: ეს ჩემპიონატი არაფრით ჩამოუვარდება სხვა ანალოგიურ ღონისძიებებს და ერთ-ერთ საუკეთესოდაც დასახელდა.

ჩვენთვის საწყენი მხოლოდ ისაა, რომ ჩემპიონატში საქართველოს ნაკრები არცთუ წარმატებით გამოვიდა, თუმცა ილია მაისურაძის შეგირდები „სიკვდილის ჯგუფში“ მოხვდნენ, სადაც მეტოქეებად სამი „ბობოლა“ სარაგბო ქვეყანა გვერგო: არგენტინა, სამხრეთ აფრიკა და საფრანგეთი. ამ გუნდებთან თუნდაც ერთი შეხვედრის მოგება, რაც სამომავლოდ „მზის ქვეშ“ ადგილის დაბეჭებისთვის სასიცოცხლო მნიშვნელობის გახლდათ, გამირობის ტოლფასი ჩანდა, გამირობა კი „უმცროსმა ბორჯღალოსნებმა“, დიდი თავდადების, მონდომებისა და ჟინის მიუხედავად, ვერ ჩაიდინეს და სამივე შეხვედრა წააგეს. ისინი ჯერ არგენტინასთან დამარცხდნენ –

26:37, შემდეგ სამხრეთ აფრიკასთან 14:38 დათმეს, ბოლოს კი საფრანგეთთან დიდი ანგარიშით – 0:54 წააგეს. სამაგიეროდ, რეპეშაჟში მაინც მოიპოვეს ის ერთადერთი სანატრული გამარჯვება, როცა მეტოქედ ისევ არგენტინა გვერგო. ჩვენებმა „პუმებს“ 26:25 მოუგეს, რითაც ელიტაში ადგილი შეინარჩუნეს, თუმცა ბოლო შეხვედრაც რომ მოგვეგო ირლანდიასთან, შარშანდელ შედეგს გააუზიარებდნენ. ჩვენები, პირველი ტაიმის შემდეგ, 10:7-ს იგებდნენ კიდევ, მაგრამ საბოლოოდ 18:24 წააგეს და, შარშანდელის დარად, წლეულსაც X ადგილზე გავიდნენ.

წაგების მიუხედავად, „უმცროსმა ბორჯღალოსნებმა“ კარგი, ლამაზი და სანახაობრივი თამაშით მაინც მიიქციეს უცხოელთა ყურადღება და დიტირამებშიც დაიმსახურეს. მაგალითად, სამხრეთ აფრიკასთან შეხვედრას და მსაჯის მიერ ჩვენების არჩათვლილ ლელოს ირლანდიიდან გამოეხმაურა იქაური რაგბის ლეგენდა და „სამყურათა“ ლეგენდარული კაპიტანი ბრაიან ო'დრისკოლი, ვინც საკუთარ ტვიტერზე დაწერა: „ვიმედოვნებ, ექვსი ერის ბოსები უყურებენ 20-წლამდელთა მსოფლიო ჩემპიონატს და საქართველოს ნაკრების გამოსვლას. ბრწყინვალე და თვალსაჩინო, ოსტატური და არა მხოლოდ უხეშ ძალაზე დამოკიდებული“. აი, ასე შეაფასა მან ჩვენების გამოსვლა, ხოლო მსაჯის გადამწყვეტილებას იმ ლელოს გაუქმების შესახებ „აღმამფოთებელი საქციელი“ უწოდა.

ვის-ვის და ო'დრისკოლის ნამდვილად დაეჯერება სარაგბო თემი? მას „სამყურათა“ რიგებში 133 კეპი მოუხვეჭია, ანუ ამდენი შეხვედრა ჩაატარა ეროვნულ ნაკრებში და ირლანდიელთა მართლაც ლეგენდარული კაპიტანი იყო. ის მონაწილეა ქართველებთან, 2007 წელს, ფრანგულ ბორდოში გამართული იმ ცნობილი მატჩისა, როცა ჩვენები მსოფლიო ჩემპიონატში ერთ-ერთ პირველ შესარჩევ ციკლს ატარებდნენ და პლეი ოფში ირლანდიას შეხვდნენ. იქ ჩვენებმა კინალამ სასწაული მოახდინეს, ბოლო წუთებში თამაშით წააგეს ეგზომ მრისხანე მეტოქე, მაგრამ გამოუცდელი გამოსვლა სათამაშო უპირატესობა შედეგში ვერ გარდასახეს და, თავიანთი შეცდომების გამო, შეხვედრა 10:14 წააგეს.

ქართველთა კარგმა თამაშმა სხვების ყურადღებაც მიიქცია. არგენტინელებთან მოგებას გამოეხმაურა უცხოური მედია, რომელმაც იმ შეხვედრაში ჩვენების მიერ აგორებულ მოლს „საოცარი“ უწოდა და აღნიშნა, რომ შერკინება კიდევ დიდხანს იქნება ქართველთა კოზირი.

ზოგადად ჩემპიონატში და კონკრეტულად – არგენტინელებთან პაექრობაში განსაკუთრებული ყურადღება მიიქცია გელა აფრასიძის კარგმა თამაშმა – პირველ მატჩში 58 მეტრიდან გაიტანა საჯარიმო, მეორეში კი საოცრად ლამაზი ლელო დაუღო „პუმებს“. საესეებით ლოგიკურია, რომ ჯერ კიდევ ჩემპიონატის მიმდინარეობისას მას სამწლიანი კონტრაქტი გაუფორმა ფრანგული ზეპური რაგბის „მონპელიემ“.

ამ ჩემპიონატისადმი დადებითი შეფასებები სხვებმაც ბლომად გამოთქვეს. მაგალითად, ქუთაისში, ჯგუფური ეტა-

პის დასრულების შემდეგ, სტუმრებმა აღმატებული კომენტარები გააკეთეს მედიასთან. „გვერგება, სხვა პლანეტაზე ხარ. კანონში სუნთქვა შემეკრა, არამექვეყნიურია. იმდენი რამეა აქ სანახავი და წარმოდგენაც კი არ მქონდა, რამდენად ლამაზია ეს ქვეყანა. მონატრები უმშვენიერესი ადგილია ამქვეყნად. წარმოდგენელია!“ – განაცხადა სათაფლიის მღვიმის ნახვის შემდეგ ბრიტანელმა კომისარმა, სიუზან კარტიმ, რომელმაც მასპინძელთა კეთილგანწყობაზე დაამატა, რომ ქუთაისმა გააოცა, რადგან არ იცოდა, სად მოდიოდა, ხოლო იქაურმა სტუმართმოყვარეობამ „წააღიქა“.

ქუთაისელთა სტუმართმოყვარეობაზე, ქართულ კერძებსა და ადგილობრივი ქომაგის სარაგბო განსწავლულობაზე ისაუბრეს შოტლანდიელთა მთავარმა მწვრთნელმა ჯონ დილზილიმ, მისმა ირლანდიელმა და ახალზელანდიელმა კოლეგებმა – პიტერ მელონმა და კრეიგ ფილპოტიმ, უელსელმა კომისარმა ადამ მაკევიომ, კომენტატორებმა – უილი ლოსემ, სკოტ ჰასკინსმა და სხვებმა. სტუმრები აღნიშნავენ, რომ დიდ სიბოტას გრძობენ მასპინძელთა მხრიდან, რომლებიც ნებისმიერ წუთს მზად არიან დასახმარებლად. ასევე აღნიშნავენ ქართულ კერძებს, ღვინოს, ლუდს და მათ სიიფეს. ზელანდიელმა ფილპოტმა საქართველო თავის სამშობლოს შეადარა: „ბიჭები ძალიან თბილად მიიღეს. თავს ისე ვგრძნობთ, თითქოს სახლში ვიყოთ, რადგან საქართველო ახალ ზელანდიას ჰგავს – ბევრი სიმწვანით და თბილი ხალხით. მოგვონს აქაური ამინდიც“.

სტუმართა კმაყოფილება და სასიამოვნო გაცემა არა მხოლოდ ქვეყანას და ხალხს, არამედ ბაზებს, სტადიონებს, ზოგადად – სარაგბო ინფრასტრუქტურასაც გამოუწვევია. ამ კუთხითაც ყველა აღნიშნავს, რომ ეს ერთ-ერთი საუკეთესო ტურნირია. მაგალითად, ლოსემ თავისი გამოცდილებაც გაგვიზიარა: „2009 წლიდან მსოფლიოს რაგბის ყველა ჩემპიონატს დავესწარი და ეს ტურნირი ნამდვილად გამორჩეულია. აღფრთოვანებული ვარ ქართველი ხალხით“.


კოლეგას არც ჰასკინსი ჩამორჩა: „საქართველო შესანიშნავი ქვეყანაა. ჩემზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა სარაგბო ინფრასტრუქტურამ. განსაკუთრებით – ქუთაისში. შოტლანდიის, ირლანდიის, ახალი ზელანდიისა და იტალიის ნაკრებებს ძალიან მოეწონათ როგორც თავიანთი სავარჯიშო ბაზები, ისე ზოგადად გარემო“.

როგორც კომენტატორი, ორი წლის წინ ვიყავი იტალიაში, შარშან კი მანჩესტერში და შემიძლია ვთქვა, რომ აქაური ინფრასტრუქტურა არაფრით ჩამოუვარდება იმასას. სამუშაოდ ყველა პირობა გვაქვს. სტადიონი ძალიან კარგადაა დაპროექტებული – მედიისთვის, ანალიტიკოსებისთვის, ტელევიზიებისთვის იდეალური პირობებია. ერთი სიტყვით, ჩემი შეფასებაა 10 ქულა 10-ბალიანი სისტემიდან“.

რუბრიკას უძღვება ირაკლი თამაძე



მასწავლებლის სამუშაო რეჟიმი



მასწავლებლის სამუშაო რეჟიმი ვორტფოლიოს განუყოფელი ნაწილია. რეჟიმის სტრუქტურა საშუალებას აძლევს მასწავლებელს: 1. საჭიროებისამებრ შეავსოს გაკვეთილის დაგეგმვის სქემების მოკლე ან სრული ვარიანტები; 2. გაეცნოს გაკვეთილის დაგეგმვის რეკომენდაციებს; 3. გაეცნოს გაკვეთილის მოკლედ და დეტალურად დაგეგმვის ნიმუშებს. 4 ლარი

ინოვაციური გაკვეთილები დაწყებით კლასებში



ნიგვნი თავმოყრილია დაწყებითი კლასებისთვის აქტუალური სწავლების მეთოდების გამოყენებით შექმნილი გაკვეთილის სცენარები ქართულში, მათემატიკაში და ბუნებაში. სახელმძღვანელო დახმარება მასწავლებელს მოსწავლეებს განუვითაროს: წიგნიერების, მედიანდინამიკის, მათემატიკური წიგნიერებისა და კვლევითი უნარები, კრიტიკული და შემოქმედებითი აზროვნება. 6.50 ლარი

კათედრის გაგების პორტფოლიო



კათედრის გაგების პორტფოლიო საშუალებას აძლევს კათედრის გაგებას აღრიცხოს, გააფორმოს, აღწეროს ეროვნული სასწავლო გაგებით განსაზღვრული საშემოსავლები. შესავსები სქემების, ცხრილებისა და კათედრის სხდომის ოქმების გარდა, პორტფოლიო შეიცავს მეთოდურ რეკომენდაციებს, რაც დახმარებას აძლევს კათედრის ხელმძღვანელს პორტფოლიოს წარმოებაში და მისი საშემოსავლის განხორციელებაში. 6 ლარი

ინტერაქტიური მეთოდების კრებული



კრებული ალფერულია ინტერაქტიური სწავლების მეთოდები; მოცემულია თითოეული მეთოდის გამოყენების უბრალოდ აღწერა; განხილულია, რა უნარებს ავითარებს თითოეული მეთოდი; დასახელებულია თითოეული მეთოდის გამოყენების წინაპირობა. კრებული თავმოყრილია 50-მდე მეთოდის აღწერა. 6 ლარი

მასწავლებლის კალენდარი



კალენდარის იმეორე ნაწილი, რომ მასწავლებელს მთელი წლის განმავლობაში შეუძლია დაგეგმოს და ჩაინიშნოს მისთვის საჭირო და სასურველი აქტივობები და ინფორმაციები. კალენდარი ყოველკვირულად აწვდის მასწავლებელს მისთვის მნიშვნელოვან პრაქტიკულ, ვედატორიულ რჩევებს თუ საჭირო ინფორმაციას. კალენდარს აწვდის შესავსები გაკვეთილების ცხრილი, მნიშვნელოვანი აქტივობების რეაქტივი და თავისუფალი ფურცლები, რათა მასწავლებელს ყველა საჭირო ინფორმაცია ერთად ჰქონდეს განთავსებული. სინაქსე 5.50 ლარი

ცნობარი დაწყებითი კლასების ვედატორებისათვის



ცნობარი დაწყებითი კლასების ვედატორებისათვის მოგვცემს დაწყებითი კლასების მასწავლებლების საჭიროების გათვალისწინებით. მონაცემს: საგნობრივ, თეორიულ მასალას; ცოდნის შესამოწმებელ ტესტებს, რაც საგნობრივი გამოცდისთვის მომზადებაში დახმარებას. 14 ლარი

**წიგნი I**  
კვილი ქართული მწერლობა

**წიგნი II**  
„ვეფხისტყაოსანი“

**წიგნი III**  
XIX საუკუნის მწერლობა

**წიგნი IV**  
XX საუკუნის მწერლობა

თითო ტომის ფასი - 13 ლარი

**მოკვლევის საბაზისი გამოცდებისთვის**

კრებულში შესულია პროგრამით გათვალისწინებული თეორიული მასალა და ტესტები. გადასაფხევი ფენის ქვეშ მოთავსებულია უნიკალური კოდი. ეს კოდი შეიყვანეთ სპეციალურ აპლიკაციაში, რომელიც განთავსებულია გამომცემლობის ოფიციალურ ვებგვერდზე [fb.com/bakursulakauripublishing](http://fb.com/bakursulakauripublishing)

ერთი კოდის გამოყენება შეუძლია მხოლოდ ერთ მომხმარებელს. ელექტრონული ტესტები შეიძლება ჩააბაროთ როგორც თემების მიხედვით, ასევე შერეულად.

თითო კრებულის ფასი - 10.90 ლ

**ქართული ენის კრებულები**

ეროვნული სასწავლო გაგებით გათვალისწინებული გრამატიკის თეორიული კურსი და საგარეო გამოცდებისთვის.

სერიის ფასი - 17.70 ლ

**ნამდვილი და მოგონილი აზრები**


სერია „ნამდვილი და მოგონილი აზრები“ შექმნილია I-VI კლასების მოსწავლეებისათვის, „კითხვის საათის“ სპეციალური გათვალისწინებით.

სერიის ფასი - 32.40 ლ



12 ლარი

თამაზ ვასაძე კომენტარული ტექსტი და ანალიტიკური გზამკვლევი



10 ლარი

ფიზიკა საატანტატო გამოცდისთვის ქ. ტატიშვილი, ზ. ხარაძე



7 ლარი

ქართული ენის გრამატიკა სინტაქსი (სასკოლო კურსი) ნ. შარაშენიძე



8 ლარი

ქართული ენის გრამატიკა მორფოლოგია (სასკოლო კურსი) ნ. შარაშენიძე




10 ლარი

თამარ ბეროზაშვილი ქართული ენის სასკოლო განმარტებითი ლექსიკონი (ორტომეული)



4 ლარი

თამაზ ვასაძე ქართული აგროგრაფიული პროზა ლიტერატურის შემსწავლელთათვის



10 ლარი

ბიოლოგია (II ნაწილი) ეროვნული გამოცდებისთვის ლ. ბურღლიძე, ნ. სინარულიძე, ქ. მალბაძე, დ. ნახიჩიშვილი



9 ლარი

ისტორია საატანტატო გამოცდისთვის ნ. ანგებელი, ზ. ლორთქიფანიძე, ნ. მურდულია

**პროკა**

თამაგური ენციკლოპედია „რა არის რა“

- ქიმიკა
- მეცნიერება
- საღვთო დიდი გადასახლება
- კრიმინალისტიკა
- არქიტექტურა
- ვეროკა
- უკვლესი ადამიანი
- მეოცობები
- ჯანსაღი კვება
- ამინდი
- ოლიმპიური თამაგები

ხელმოწერის თანხა გადმოირიცხეთ რაქვიზიტებზე: მიმღები - შპს „ახალი განათლება“, ს/კ 202058735, ა/ა GE93LB0113314052305000, ს/ს „ლიბერთი ბანკი“, ბ/კ LBRTGE22 ფიზიკურად პირებზე, თანხის გადმოირიცხვისას, მიუთითეთ პირადი ნომერი. შექმნის მსურველები დაგვიკავშირდით: 599880073, 0322958023

**ახალი განათლება**

მთავარი რედაქტორი: მარიკა ჩიქოვანი

მისამართი: 0102 თბილისი, ტატილაშვილის ქ. №3  
 ტელ.: 032 295 80 23, 599 880073  
[www.axaligantleba.ge](http://www.axaligantleba.ge) [axaligantleba@gmail.com](mailto:axaligantleba@gmail.com)  
 რედაქციის საბანკო რაქვიზიტები: შპს „ახალი განათლება“ ს/კ 202058735  
 ა/ა GE86EG000000123631000GEL, ს.ს. „საქართველო ბანკი“ ბ/კ BAGAGE22,  
 რედაქციაში შემოსული ხელნაწერები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება.

ISSN 2233-386X

9 772233 386008 >